# სარბიელი

საპორტული გაზეთი | სამშაბათი 2 თებერვალი 1999 №16 (789) | ფასი 50 თეთრი


2

## მუჯირი მილუტინოვიჩს მიენდო

ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი ნიუ იორკის „მეტროსტარზში“ წავიდა

4

## ბედი ისეთი რამაა...

„ლაციო“ თუ იგებს, იგებს, თუ არა და...



8

საქართველოს ჩემპიონატი

12 ტური

კოლხა 83:92 დინამო

შევარდენი 75:88 მაკაბი

12

## გამორჩეული საღამო რჩეულთათვის

ჟურნალისტებმა და ბიზნესმენებმა ქართველ სპორტსმენებს გარჯა დაუფასეს



# ზინედინ ზიდანი

## მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია



საჩხეიძის არქივიდან

წუხელ ბარსელონაში ფიფამ დედამიწის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების მორიგი ცერემონიალი გამართა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი გოლის გამტანი ზინედინ ზიდანის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ასეც მოხდა — „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა 518 ქულით საგრძნობლად ჩამოიტოვა კონკურენტები.

შეგახსენებთ, რომ ზიდანი დეკემბერში „ფრანს ფუტბოლმა“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარა.

მეორე ადგილი წილად ხვდა რონალდოს, ამავე გამოკითხვის ბოლო ორი წლის გამარჯვებულს. ბრაზილიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ თავდამსხმელმა 164 ქულა მოაგროვა. მესამე იყო მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხორვატი დავორ შუკერი. მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა 108 ქულა დააგროვა.

ფიფას გამოკითხვაში 132 ნაკრების მწვრთნელი მონაწილეობდა.

საქართველოს ნაკრების თავკაცის ვლადიმერ გუცაევის სამეული ასე გამოიყურებოდა: ზინედინ ზიდანი, რონალდო და მაიკლ ოუენი.

| | | |
|---|---|---|
| 1 | ზინედინ ზიდანი | 518 |
| 2 | რონალდო | 164 |
| 3 | დავორ შუკერი | 108 |
| 4 | მაიკლ ოუენი | 43 |
| 5 | გაბრიელ ბატისტუტა | 40 |
| 6 | რივალდო | 37 |
| 7 | დენის ბერგკამპი | 33 |
| 8 | ედგარ დავიდსი | 26 |
| 9 | მარსელ დესაი | 23 |
| 10 | ლილიან ტურამი | 14 |

# გმადლობთ, პიტ!



ევგენი კაფელნიკოვი




ამ უქმეებზე მელბურნში სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ქალებში მთავარი პრიზი, მწვანეების შთამბეჭდავი რაოდენობა და ტრადიციული სათამაშო კენგურუ, ზედიზედ მესამედ, მარტინა ჰინგისს ერგო, კაცებში კი ევგენი კაფელნიკოვი „ოუფენის“ დამპყრობი პირველი რუსი შეიქნა

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



მარტინა ჰინგისი



ბორა მილუტინოვიჩი

# მუჯირი გალმა გაფრინდა?



## იუვეს მეტროსტარზე სჯობსო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა დავით მუჯირმა იძულებითი შესვენება დაასრულა. მუმუმ ნაუცბათევად აიყარა გული აწ უკვე ყოფილ კლუბ „დინამოზე", საქართველოში თამაშის გაგონებაც არ სურდა.

მისი გადაწყვეტილება მართებულიც იყო. კაცს იტალიაში ბურთაობის შანსი მოგეცეს და არ წახვიდე, თავის მტერი უნდა იყო. თანაც დათოს იტალიიდან „იუვენტუსი" შეეხმიანა და...

ეს ყველაფერი ახალ წლამდე მოხდა. მუმუ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და იტალიიდანაც საბოლოო სატელეფონო ზარს ელოდა. მართალია, აპენინელებს ცოტა შეაგვიანდათ, მაგრამ პირობა მაინც შეასრულეს და ჩვენებურს თავისთან უხმეს. მხოლოდ ეგ იყო, მუმუს „იუვენტუსის" ძირითად გუნდში კი არა, არამედ ახალგაზრდულ გუნდში სთავაზობდნენ ადგილს.

იტალიელ თანატოლებთან ბურთაობა მუჯირმა იუარა და წამსვე სათადარიგო ვარიანტი გამოიყენა. ამერიკული საფეხბურთო ლიგის „ნიუ იორკ მეტროსტარზს" მიაშურა. მუმუ ოკეანის გაღმა შაბათს საღამოს გაფრინდა.

ფეხბურთი დათომ უნდა ითამაშოს და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მისი გადასაწყვეტია, სად წავიდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისთვის, ალბათ, „იუვენტუსის" საბაზო გუნდში ბურთაობა აჯობებდა. დათო იტალიაში უფრო მალე დაიხვეწებოდა და გაიზრდებოდა. სხვა თუ არაფერი, ახალგაზრდული გუნდის თავკაცებს იტალიიდან უფრო მეტი ინფორმაცია ექნებოდათ ნაკრების დირიჟორის შესახებ.

მუმუმ მაინც შტატებში წასვლა ირჩია...

რახან ჩვენებურმა „იუვენტუსს" „ნიუ იორკ მეტროსტარზი" ჯობიაო, ვნახოთ, რა გუნდიცაა მუმუს მომავალი სარბიელი. დავიწყოთ იმით, რომ „მეტროსტარზს" ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი წვრთნის. მის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, ჩვენებური მალე იმ კონდიციამდე მივა, რომ ევროპულ გრანდებში დამკვიდრება არ გაუჭირდება.

შემოდგომაზე „მეტროსტარზი" დასავლეთ კონფერენციის გათამაშებაში მესამე ადგილზე გავიდა, რაც საგაზაფხულოდ პლეიოფში მონაწილეობის უფლებას იძლევა.

ცნობილ ევროპელ ფეხბურთელთაგან „მეტროსტარზის" ღირსებას თავის დროზე „მილანის" უბერებელი ნახევარმცველი რობერტო დონდონი იცავდა.

„მეტროსტარზში" აშშ-ს ეროვნული გუნდის წევრებიც თამაშობდნენ. ამათგან მეკარე ტონი მეოლა და ექსტრავაგანტური ალექსი ლალასი ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, ემახსოვრებათ კიდეც. უცნობი არც ტაბ რამოსი გახლავთ. აშშ-ს ნაკრების კაპიტანი იყო, ბრაზილიელმა ლეონარდომ იდაყვი სახეში რომ უთავაზა და ლამის სიცოცხლეს გამოასალმა.

„მეტროსტარზს" ამერიკული ლიგის კვალობაზე სახელი და დიდება არ დაეწუნება. მთავარი ბრძოლებისთვის სამზადისს გუნდი 7 თებერვალს დაიწყებს. ამერიკელები გვადალახარაში გადავლენ და მექსიკას 20 თებერვლამდე შერჩებიან. მერე 23-27 თებერვალს საკუთარ „ჯაიანთს სთეიდიუმზე" განაგრძობენ მზადებას, ხოლო 1-12 მარტს იტალიას, კერძოდ კოვერჩიანოს ჩავლენ.

სწორედ ზემოთ აღნიშნული გრაფიკის მიხედვით მოემზადება მუმუც, რომელიც მეკარე მაიკ ამანთან და მცველ მარკ ჩანგთან ერთად მილუტინოვიჩის ახალრჩეულია.

დათო დროებით მაინც მოწყდა საქართველოს. უკან მოიტოვა გაურკვევლობა და აქაური ჩემპიონატის სიდუხჭირე, მაგრამ 12 მარტამდე უთამაშებელი ახალგაზრდულ ნაკრებს სლოვენებთან თბილისურ პაექრობაში შეეშველება კი? ეს არის იმნაძის და კომპანიის საწუხარი და არა მარტო მათი.

**მამუკა კვანტალიანი**

# მეზობელო კარისაო

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის განახლებამდე ორი თვეც არ დარჩენილა. ავად თუ კარგად ჯერაც გამოუზამთრებელმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა, უფროსებისგან განსხვავებით, საკონტროლო მატჩის ჩატართვა დაისახა მიზნად და მეტოქედ ჩვენთვის კარგად ცნობილი და მუდამ ხელის გამმართველი, აზერბაიჯანის ნაკრები შეიგულა. გარწმუნებთ, ევროპა-აზიაში ჩვენთან ბურთაობის მსურველნი სულ რომ დაწყდნენ, აზერბაიჯანელთა წყალობით „ამხანაგურები" (თუნდაც საკონტროლო მატჩები დაარქვით) მაინც არ მოაკლდება ჩვენს ამა თუ იმ ასაკის და რანგის ნაკრებებს.

გადაწყვეტილი ამბავია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 8 თებერვალს, თბილისში, „ისანზე", დაუხვდება აზერბაიჯანელ თანატოლებს. საამმატჩოდ ნაკრების თავკაცმა ჩვიდმეტი ფეხბურთელი გამოიძახა: გიორგი ლომაია (მერანი), გიორგი გაბელია, კობა ნინუა, გიორგი შენგელია (თსუ), ედიშერ ალადაშვილი, სოსო დევიძე (მერანი), მიხეილ მახვილაძე (სამგურალი), კახაბერ ჩხეტიანი, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო), გიორგი ყიფიანი (არისი, საბერძნეთი), რატი ალექსიძე, გივი კვარაცხელია, შოთა ჩომახიძე, მიხეილ აშვეთია, კობა ნიტაიშვილი, არჩილ სახვაძე (ყველა დინამო). გამოძახებულთა შორისაა აგრეთვე ვიტჯორჯიელი გიორგი ჭანკოტაძეც. გემახსოვრებათ, ეს მცველი სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებული იყო. როგორც ჩანს, მისი ამნისტიის საკითხს კარს მომდგარი ალმასკომის სხდომა დადებითად გადაწყვეტს და გიგლა იმნაძემაც ჭანკოტაძე სანაკრებოდ ამთავითვე ამიტომაც შეიგულა.

ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებულთა შორის მხოლოდ ერთი ლეგიონერი, „ბერძენი" გიორგი ყიფიანია, თუმცა მისი „ისანზე" გარჯა სათუოა ტრავმის გამო, ამავე მიზეზით აზერბაიჯანელ თანატოლებს შესაძლოა დინამოელი რატი ალექსიძეც ვერ დაუპირისპირდეს.

**პაატა კვანტალიანი**

# დინოზავრების ნაკვალევზე გურიამ ფეხი არ დადგა

**მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში**

**IV ჯგუფი**

**არსენალი 2 3:2 სიონი**

0:1 ჯაგიდისი (13), 1:1 ეგაძე (20), 1:2 ჯაგიდისი (27), 2:2 ლ. ჩხაიძე (30), 3:2 ზ. მეტრეველი (31)

მსაჯი: მ. მალაღურაძე

**III ჯგუფი**

**გორდა 1:3 თსუ**

1:0 კ. ალადაშვილი (17), 1:1 გ. შენგელია (18), 1:2 როსტიაშვილი (27), 1:3 გ. შენგელია (30)

გაფრთხილება: ი. ხუჯაძე (თსუ)

მსაჯი: ა. შალამბერიძე

**II ჯგუფი**

**ოდიში 3:6 სამგურალი**

0:1 ენდელაძე (7), 1:1 ბარქაია (14), 2:1 ტაბალუა (15), 2:2 ენდელაძე (20), 2:3 მახვილაძე (25), 2:4 ენდელაძე (32), 2:5 გ. ჯანელიძე (33), 2:6 მ. ჯინჭარაძე (35), 3:6 ბარქაია (38)

გაფრთხილება: აფაქიძე (ოდიში)

მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი

**I ჯგუფი**

**მერანი 0:6 ვიტ ჯორჯია**

0:1 მაზიაშვილი (16), 0:2, 0:3 ა. ბოკერია (22, 27), 0:4 ლ. ნოზაძე (28), 0:5, 0:6 მაზიაშვილი (35, 37)

გაფრთხილება: გელა ქორიძე (მერანი), ვ. ქუთათელაძე (ვიტ ჯორჯია)

მსაჯი: ა. მეშკოვი

გუშინ სპორტის სასახლეში მიხეილ მესხის სხოვნისადმი მიძღვნილი მინი-ფეხბურთის ტურნირი დაიწყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ტრადიცია აღადგინა.

ალბათ, გახსოვთ, 1989 წელს სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ანშლაგი სუფევდა. ტურნირი მაშინაც მიხეილ მესხის სახელობის იყო, ოღონდ საერთაშორისო მასშტაბის. პირველობას ერთმანეთს თურქეთის, პოლონეთის, გერმანიის, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების გუნდები ეცილებოდნენ.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. წლევანდელ გათამაშებას მაშინდელთან მხოლოდ დიდი მიშა მესხის სახელი აერთიანებს. სხვა მხრივ შედარებებისგან კი თავი უნდა შევიკავოთ. ყოველივე ჯერჯერობით თავის მოტყუებას ჰგავს.

შობა-ახალი წლის დღესასწაულის დღეებში ერთ-ერთმა ფირმამ თბილისში დანიიდან დინოზავრები ჩამოიყვანა და სპორტის სასახლეში მოათავსა. ჰოდა, იყო ბავშვების ჟრიამული, მაგრამ არ ტყუვდებოდნენ ნორჩები, კარგად ხვდებოდნენ, რომ ის დინოზავრები ნამდვილი არ იყო. თუმცა გასართობად მაინც მიდიოდნენ და ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდნენ, შინ ნასიამოვნები ბრუნდებოდნენ. იმ ღონისძიებამ ფინანსური თვალსაზრისითაც გაუმართლა მის ორგანიზატორებს და სპორტის სასახლის მესვეურებს.

მავანი იკითხავს, დანიიდან დინოზავრების ჩამოტანა შეგვძლებია და მინი-ფეხბურთის ტურნირზე „გურიას" ჩამოყვანა რა გახდაო. დიახ, მეათე ეროვნულის აუტსაიდერმა გათამაშებას უგანა. არადა, სამი დღის წინ გურულები ირწმუნებოდნენ, აუცილებლად ჩამოვალთო. ბოლოს კი მათ შორის აღმოჩნდნენ, ვინც თავიდანვე უარი განაცხადა ტურნირში მონაწილეობაზე. თბილისის „დინამომ" და „არსენალმა" გადაწყვიტეს, მეორე გუნდებით ებურთავათ და ინტერესიც განელდა. სპორტის სასახლის მისადგომების შემხედვარე ვერც იფიქრებდი კაცი, რომ იქ მიხეილ მესხის თასის გათამაშება მიმდინარეობდა პირველჯგუფელთა შორის. რას იზამ, იმედი ვიქონიოთ, რომ გაისად უკეთესი გათამაშების მოწმე გავხდებით და მონაწილეებიც უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს. წლევანდელი ტურნირის ორგანიზატორებიც ამას დაგვპირდნენ და ჩვენც დღესდღეობით დანაპირებით დავკმაყოფილდეთ. მთავარია — ტრადიცია აღდგა.

„გურიას" გამოუცხადებლობამ მეოთხე ჯგუფი ორი გუნდის ამარა დატოვა. ამიტომაც „არსენალი" და ბოლნისის „სიონი" ზედიზედ ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული კი ნახევარფინალში გაიკვლევს გზას.

მათი გუშინდელი პირველი მატჩი ახალგაზრდა არმიელებმა მოიგეს. თუმცა ორჯერ მდევრის როლში მოგვევლინენ. ბოლნისელთა ვეტერანის ჯაგიდისის გოლები ლაშა ეგაძემ და მისმა სეხნია ჩხაიძემ გაქვითეს. გამარჯვება კი „არსენალი 2"-ს ყოფილმა სიონელმა ზურაბ მეტრეველმა მოუტანა. არადა, მეტრეველი პირველ წრეში ბოლნისის გუნდში ირიცხებოდა.

რუსთავის „გორდას" და თსუ-ს შეხვედრა შედარებით კარგი სანახავი გამოდგა. სტუდენტები უფრო ორგანიზებულად ირჯებოდნენ და გაშვებული გოლის მიუხედავად, შეძლეს ძალების მობილიზება. რუსთაველებმა ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ კიდეც. სულ ახლახან მოსკოვში თანამეგობრობის თასზე „დინამო 2"-ის შემადგენლობაში მოთამაშე გიორგი შენგელიამ, რომელიც სტუდენტთა გუნდში გადაბარგდა, დუბლის შესრულება მოახერხა და თსუ-ს გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

უხვგოლიანი გამოდგა ტურნირის მესამე მატჩი ზუგდიდის „ოდიშისა" და წყალტუბოს „სამგურალს" შორის. გაიოზ დარსაძის შეგირდებმა საჩოგბურთო ანგარიშით 6:3 სძლიეს მეტოქეს. კარგი ფიზიკური მომზადება და პრესინგი მთელ მოედანზე — წყალტუბოელთა ეს კოზირი გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში. აღსანიშნავია „ოდიშის" ყოფილი ფორვარდის, ამჯერად „სამგურალში" მოთამაშე ზვიად ენდელაძის ოსტატობა. ენდელაძე გამოცდილი მინიფეხბურთელივით ირჯებოდა და თავის ყოფილ თანაგუნდელ მცველებს მოსვენება დაუკარგა. მას ირაკლი ხაჭაპურიძემ და მიხეილ მახვილაძემაც აუბეს მხარი და „ოდიშს" არანაირი შანსი არ დაუტოვეს. ზვიადმა კი თავის მხრივ ტურნირის პირველი ჰეთ-თრიქი გააკეთა.

საღამოს გათამაშების პირველი დღის ბოლო შეხვედრა თბილისური დერბით აღინიშნა. ერთმანეთს „მერანი" და „ვიტ ჯორჯია" დაუპირისპირდნენ. ვიტელებმა ტრანსპორტელები გაანადგურეს. ეტყობა, ჯემალ მახარაშვილის თანაშემწე გია ჭყონია მინი-ფეხბურთში გათვითცნობიერებული კაცია და ფეხბურთელებსაც ოდნავი მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. თუმცა „ვიტ ჯორჯიას" შემსრულებლებიც საკმაოდ ჰყავდა. მიხეილ მაზიაშვილი, ზვიად და არჩილ ბოკერიები ერთ დროს კარგ მინიფეხბურთელებად ითვლებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას მერანელ გელა ქორიძეზეც, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. ვიტელები არჩილ ბოკერია და მიხეილ მაზიაშვილი მართლაც შეუდარებელნი იყვნენ არა მარტო ამ მატჩში, არამედ გუშინ გამართული ოთხივე შეხვედრის კვალობაზე. „ვიტ ჯორჯია" თამამად შეიძლება ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნიოთ.

და კიდევ ერთი. სპორტის სასახლეში უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ. გარეთ მართლაც საფეხბურთო ამინდი იყო...

**ხვიჩა სანიკიძე**



ექვსიდან სამი ბურთი „მერანს" ვიტელმა მიხეილ მაზიაშვილმა გაუტანა

# ტორპედო გამოიდარა

გუშინ ანთალიაში მყოფ ტორპედოელებს რომ დავუკავშირდით, ქუთაისელთა გუნდის კაპიტანმა კახა კვეტენაძემ როგორც იქნა, „ტორპედოს" გამარჯვება გვამცნო.

— ანთალიაში წვიმები კვირის ბოლომდე გაგრძელდა. დღეს კი გამოიდარა და მორიგი მატჩის გამართვაც მოვახერხეთ. ამჯერად მეტოქედ რუსეთის პირველლიგელი მახაჩკალის „ანჟი" გვყავდა. თურქეთში პირველი მოგება და გოლის გატანა მოვახერხეთ. დაღესტნელები 1:0 დავამარცხეთ. ბურთი ზურაბ იონანიძემ გაიტანა.

მაშ ასე, „ტორპედომ" და მისმა ბომბარდირმა ნავსი გატეხეს და წლეულს პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს.

**ხვიჩა სანიკიძე**

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

## ინგლისი

XXIII ტური

### ნიუკასლი 2:1 ასტონ ვილა

1:0 შირერი (4), 2:0 ქეცბაია (27), 2:1 მერსონი (61)
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, ჰოუი, დაბიზასი, დომი, ჰამანი, სოლანო (ბრედი 81), სპიდი, გლასი, ქეცბაია (ანდერსონი 62), შირერი
ასტონ ვილა: ოუქსი, უოტსონი (ვესელი 83), საუთგეიტი, ეჰიოგუ (გრეისონი 38), ბერი, რაიტი, შიმეცა, ჰენდრი, ტეილორი, ჯოაკიმი, მერსონი
გაფრთხილება: ქეცბაია, ჰენდრი, მერსონი
მსაჯი: ჰარისი

### არსენალი 1:0 ჩელსი

1:0 ბერხკამპი (32)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვინტერბერნი, პარლოუ, გარდე, პეტი, ოვერმარსი (დიავარა 75), ანელკა (ვივასი 67), ბერხკამპი (აპსონი 90)
ჩელსი: დე გუი, ლებეფი, დესაი, დაბერი (გოლდბეკი 38), პეტრესკუ, დი მატეო, უაიზი, ლე სო, ბაბაიარო, ვიალი, ძოლა (ფორსელი 74)
გაფრთხილება: ბერხკამპი, კიოუნი, ლებეფი, პეტრესკუ, გოლდბეკი
მსაჯი: პოლი

### საუთჰემპტონი 3:0 ლიდსი

1:0 კეჩლოული (31), 2:0 ოუკლი (62), 3:0 ოსტენსტადი (86)
საუჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, კოლეტერი, ლუნდეკვამი, დოდი, ლე ტისიე (რიპლი 10 (ბრიჯი 82), ოუკლი, ჰიუზი, ოსტენსტადი, ბიტი, კეჩლოული
ლიდსი: მარტინი, ვუდგეიტი, ჰარტი, ჰაალანდი, რადებე, ვეზეროლი, ბოუიერი, ჰოპკინი, ჰასელბაინკი, სმიტი, კიუელი
გაფრთხილება: ლუნდეკვამი, ჰიუზი, დოდი, ჰაალანდი, ბოუიერი, სმიტი, ვუდგეიტი
მსაჯი: დანი

### უიმბლდონი 0:0 ვესტ ჰემი

უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი, პერი, თეთჩერი, კ. ჰიუზი, ერლი, ეკოკუ (ლიბერნი 69), მ. ჰიუზი (კენედი 81), იუელი, ჰართსონი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ბრიკერი, დიქსი, რადოკი, კიტსონი, ფოე, ფერდინანდი, მონკური, ლამპარდი, მინტო, კოული (დი კანიო 72)
გაფრთხილება: ჰართსონი, მონკური, მინტო
მსაჯი: დარკინი

### ევერტონი 0:1 ნოტინგემი

0:1 ვან ჰოიდონკი (51)
ევერტონი: მირე, ბოლი, ანსუორსი, ბარმბი, ჰაჩისონი, გრანტი (დაკურტი 63), მატერაცი, ოსტერი, უორდი (ბრენჩი 63), დანი, კადამარტერი (ბაკაიოკო 46)
ნოტინგემი: ბიზანტი, როჯერსი (პორფირიო 90), ჰილდე, სტოუნი, ჯემილი, ჯონსონი, დარშევილი (ბარტ-უილიამსი 86), პალმერი, ვან ჰოიდონკი, სტინსასი (არმსტრონგი 81), ჰარქსი
გაფრთხილება: ბარმბი, დარშევილი, ჰარქსი, სტინსასი, ჯონსონი, ვან ჰოიდონკი
მსაჯი: ბარბერი

### ჩარლტონი 0:1 მანჩესტერი

0:1 იორკი (89)
ჩარლტონი: როისი, ბრაუნი, რუფუსი, ტილერი, პაუელი, რობინსონი, კინსელა, რედფირნი, ჯონსი, ჰანტი (ბრაიტი 77), პრინგლი (პარკერი 82)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, სტამი, ბერგი, ირვინი, ბექემი (სოლსკიაერი 70), კინი, ბათი (სქოულზი 82), გიგზი, იორკი, კოული
მსაჯი: ვილარდი

### მიდლსბრო 0:0 ლესტერი

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, კუპერი, პალისტერი, გორდონი, მასტო (სტამპი 75), გესქოინი, თაუნსენდი, დინი (ბეკი 75), რიკარდი
ლესტერი: კელერი, კამარკი, ტაგარტი, უოლში (ფენტონი 90), ალსორნი, იმპეი, ზაგორაკისი, პარკერი (კემპბელი 52), გაპი, კოტი, ელიოტი
გაფრთხილება: მასტო, სტამპი, ფესტა, უოლში, ტაგარტი, ალსორნი
მსაჯი: გალაჰერი

### შეფილდი 0:1 დერბი

0:1 პრაიორი (54)
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, ტომი, უოქერი, სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი (პრესმენი 58), იონკი (ნიუსომი 86), რუდი, ბუსი (ჰემფრიზი 55), კარბონე
დერბი: ჰოულტი, ლაურსენი, პრაიორი, შტიმაცი, კარბონარი, დორიგო, კერსლი, ბოჰინენი (შნური 85), ჰარპერი, სტარიჯი (კრისტი 46), ბაიანო (ერანიო 77)
გაფრთხილება: ერანიო
გაძევება: სრნიჩეკი (57)
მსაჯი: ელერეი

### ქოვენთრი 2:1 ლივერპული

1:0 ბოტენგი (60), 2:0 ვილანი (71), 2:1 მაკმანამანი (86)
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი (ბრინი 45), ბაროუზი, უილიამსი, შოუ, მაკალისტერი, ბოტენგი, სოლტვედტი, ფროგატი, ჰაკერბი, ვილანი
ლივერპული: ჯეიმსი, სონგი (მაკმანამანი 68), სტონტონი (ჟერარდი 86), ჰეგემი, მატეო, რედნაპი, ბერგერი (რიდლე 77), ინსი, ბიორნებიუ, ფაულერი, ოუენი
გაფრთხილება: ჰეგემი, სონგი
მსაჯი: რაილი

### ბლექბერნი 1:1 ტოტენჰემი

1:0 იანსენი (43), 1:1 ივერსენი (61)
ბლექბერნი: ფილანი, კენა, ენჩოსი, ბრუმსი, დევიდსონი, მაკატირი, დანი (პიკოკი 85), უილკოქსი, დაფი (მარკოლინი 63), უორდი, იანსენი (დეივისი 63)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ვეგა, კემპბელი, ედინბურგი, ანდერტონი, ნილსენი, ფროინდი, სინტონი (არმსტრონგი 85), ივერსენი, ფერდინანდი
გაფრთხილება: დანი, უორდი, ფილანი, დეივისი, ფროინდი, ნილსენი, კარი
გაძევება: უილკოქსი (62)
მსაჯი: ბერი

# ძირს არისტოკრატები!



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ჩელსი 1:0. მატჩის გმირს დენის ბერხკამპს მარსელ დესაი ებრძვის

ქართველი რომ უცხოეთში ბურთს გაიტანს, ძალიან სასიხარულოა. უფრო სასიამოვნოა, როცა ეს ფეხბურთის სამშობლოში, უძლიერესთა შორის ხდება. ალმაფრთოვანებელია, ქართველი ამას ზედიზედ სამ შეხვედრაში რომ აკეთებს, მით უმეტეს, როცა მისი გოლი გამარჯვებისაა და პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერის, „ასტონ ვილას“ კარში გადის.

მიხვედრილით, საუბარი თემურ ქეცბაიაზე გვაქვს. მისმა „ნიუკასლმა“ შაბათს ბირმინგემულ კლუბს უმასპინძლა და ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა. თავის მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ „ასტონ ვილასთვის“ გასული კვირა შავი იყო — გრეგორის ბიჭები გულიტის შეგირდებთან წაგებამდე ინგლისის თასზე 0:2 დამარცხდნენ უსახურ „ფულემთან“.

ანგარიში ძალიან მალე, უკვე მე-4 წუთზე გაიხსნა ალან შირერის თავური დარტყმის შემდეგ. სხვათა შორის, 26 სექტემბრის მერე, „ნოტინგემს“ რომ გაუტანა, მსგავსი რამ პრემიერლიგურ მატჩებში აღარ მომხდარა. ინგლისის ეროვნული გუნდის კაპიტანმა მალე მეორეც შეაგდო, ისევ თავით, მაგრამ მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქსირა და გოლი გააუქმა. მიუხედავად ამისა, მასპინძელთა ჰოლანდიელმა თავკაცმა შირერი მაგრად შეაქო.

— ალანი დიდი ფეხბურთელია. იგი დიდი ხანია, ენერგიას არ იშურებს, რათა ძველებურ სათამაშო ფორმაში ჩადგეს და, როგორც დღეს ნახეთ, მიაღწია კიდეც საწადელს. შირერისგან ყველა დანარჩენმა უნდა აიღოს მაგალითი — თქვა გულიტმა, ვისაც რამდენიმე დღის წინ ფორვარდთან დიდი კონფლიქტი მოუვიდა.

შემდეგ ქეცბაიას გოლი იყო. განსაკუთრებული არაფერი. მან ბურთი თითქმის ცარიელ კარში შეაგორა, მაგრამ მას მნიშვნელობა ჰქონდა დიდი — გამარჯვებისა გამოდგა. მეორე ტაიმში კი გაიტანა ყმაწვილკაცობაში ჰერონის მოყვარულმა პოლ მერსონმა შესანიშნავი გოლი, მაგრამ ეგ იყო და ეგ, მატჩი ასეც დასრულდა — 2:1.

— პირველ 45 წუთში დიდებულად ვითამაშეთ, შეცდომა ფაქტობრივად არც დაცვაში დაგვიშვია და არც შეტევაში, რაც ანგარიშში აისახა კიდეც. მეორე ტაიმში კი ვიგრძენით, რატომ არის „ასტონ ვილა“ ლიდერთა შორის, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, მატჩიც და, ვფიქრობ, ხანგრძლივი კრიზისიც — გულიტი კმაყოფილებას ვერ მალავდა.

ახლა დროა, ლონდონში გადავინაცვლოთ. დედაქალაქური „ჰაიბერი“ კვირას ორად იყო გაყოფილი — ერთ მხარეს „სამხედრო“ ქომაგები, მეორე მხარეს „არისტოკრატი“ ფანები. „არსენალი“ „ჩელსის“ მასპინძლობდა, ასევე ლონდონურ გუნდს. ეს ყოველთვის მოვლენაა, მით უმეტეს ახლა, როდესაც „არსენალი“ ჩემპიონობის შენარჩუნებას ცდილობს, ხოლო „ჩელსი“ — ამ უკვე გადავიწყებული ტიტულის გემოს გახსენებას.

ერთი სიტყვით, „ჰაიბერი“ გუგუნებდა. ტრაფარეტულად რომ ვთქვათ, მოქმედ ვულკანს ჰგავდა და ეს დაძაბული ვითარება მალე მინდორზე მყოფ 22 ლონდონელსაც გადაედო — შეხვედრა უხეში გამოდგა. თუმცა ლონდონელი ცოტა ხმამაღალი ნათქვამი გამოგვივიდა, რადგან ორივე გუნდის სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 9 ინგლისელი გახლდათ.

დაიწყო მატჩი და უმალ ნათელი გახდა — ვინც გაიტანდა, მოიგებდა, სასწორზე ძალიან ბევრი რამ იდო. ასეც მოხდა, 32-ე წუთზე მოედანზე და, ალბათ, ტურში საუკეთესო ემანუელ პეტიმ მოედნის სიღრმიდან გრძელი, მოხდენილი პასით შეტევაში ჰოლანდიური დესანტი გადაისროლა, ბურთი ჯერ ოვერმარსს მოხვდა თავში, შემდეგ ბერხკამპს მიუვიდა და ამ უკანასკნელმაც დაუმტკიცა ინგლისელებს, შარშან საუკეთესო პრემიერლიგელის ჯილდო დანიშნულებისამებრ გაეცითო.

შემდგომში ბერხკამპი კიდევ ორჯერ მოექცა ყურადღების ცენტრში. პირველად „ჩელსის“ ბრგე მცველ დაბერის ისე წაუთაქა თავში, ისედაც უტვინოს სულ დაუკარგა აზროვნების საშუალება და მინდვრიდან საკაცით გაისტუმრა. მერე კი იმავე პეტიმ დიდებული გადაცემით თანამემამულე ედ დე გუისთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ბურთი ფეხებში გაებლანდა და მსოფლიოს ჩემპიონის ხელოვნება წყალში გადაყარა. ალბათ, თვითმფრინავმა გაუელვა თავში, თორემ ასეთ მომენტებს, როგორც წესი, ლოგიკურად, გოლით ასრულებს-ხოლმე.

ეგ იყო და „ჩელსიმ“ „არსენალის“ ნახევარზე დაისადგურა, „მეთოფეებს“ ხანგრძლივი, მაგრამ უმარილო შტურმი მოუწყო. სტუმრები ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც აშკარად გადაბერებული მოთამაშე-მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი ეგულებოდათ. რამდენიმე წლის წინ ვიალი ასეთ შანსებს არ უშვებდა ხელიდან, თუმცა წლებს თავისი მიაქვს, მათ შორის სისწრაფეც. ხოტორა იტალიელის გარდა ანგარიშის გათანაბრება რუმინელ დამცველ დან პეტრესკუსაც შეეძლო, მაგრამ სიმენთან პირისპირ დარჩენილი იმდენ ხანს მოუნდა ფეხის მოქნევას, სანამ ლი დიქსონი არ შეუცურდა და დარტყმა თავის თავზე არ აიღო.

მერე ვიალიმ ძოლა შეცვალა. რატომ, ვიალის გარდა ვერავინ მიხვდა. ამ გადაწყვეტილებით აღელვებულმა ჩია ჯანფრანკომ გასახდელისკენ მიმავალ გზაზე შემხვედრ უსულო საგნებს თავისი პატარა კიდურები დაუშინა და თვალს ისე მიეფარა.

ძოლას გასვლის შემდეგ შტურმი შეწყდა. „მეთოფეების“ ნახევარზე „ჩელსის“ ბურთის „დამჭერი“ კაცი აღარ ჰყავდა და თამაშიც გათანაბრდა. ეშმაკმა არსენ ვენგერმა როგორც კი ეს შენიშნა, მოედანზე ახალი შენაძენი, ექსბორდოელი თანამემამულე, კაბა დიავარა შეუშვა, რომლის შემხედვარე კაცი ჩარლზ დარვინის თეორიას გულმხურვალედ დაუჭერს მხარს.

ზანგ ფორვარდს განსაკუთრებული არაფერი უქნია, თუმცა მეტოქის საჯარიმოში იმდენი და ისე სწრაფად ირბინა, „ჩელსის“ რამდენიმე მცველი პირდაღებული დატოვა. ვენგერსაც, ალბათ, ეს ჰქონდა გათვლილი და მალე საფინალო სასტვენიც გაისმა, ცოტა გვიან, მეორე ნახევრის 53-ე წუთზე.

დაბოლოს, ლიდერთა უნიათობით „მანჩესტერმა“ ისარგებლა. ფერგიუსონის შეგირდებმა მთელი 89 წუთი აოცნებეს უსუსური „ჩარლტონი“ სანუკვარ ფრეზე, თუმცა მერე მიმდინარე სეზონში უდავოდ საუკეთესო მანჩესტერელმა დუაიტ იორკმა მორიგი გოლი გაიტანა და „მენიუც“ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩვეულ, პირველ ადგილზე გადააბრძანა.

**დავით ძოვზირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 23 | 12 | 8 | 3 | 50:26 | +24 | 44 | 12 | 8 | 3 | 1 | 31:13 | +18 | 27 | 11 | 4 | 5 | 2 | 19:13 | +6 | 17 |
| 2 | ჩელსი | 23 | 11 | 10 | 2 | 34:19 | +15 | 43 | 11 | 7 | 4 | 0 | 17:6 | +11 | 25 | 12 | 4 | 6 | 2 | 17:13 | +4 | 18 |
| 3 | ასტონ ვილა | 23 | 12 | 7 | 4 | 35:22 | +13 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 22:12 | +10 | 26 | 12 | 4 | 5 | 3 | 13:10 | +3 | 17 |
| 4 | არსენალი | 23 | 11 | 9 | 3 | 24:11 | +13 | 42 | 12 | 7 | 5 | 0 | 16:4 | +12 | 26 | 11 | 4 | 4 | 3 | 8:7 | +1 | 16 |
| 5 | ლიდსი | 23 | 9 | 9 | 5 | 36:23 | +13 | 36 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:5 | +15 | 24 | 12 | 2 | 6 | 4 | 16:18 | -2 | 12 |
| 6 | ლივერპული | 23 | 10 | 5 | 8 | 44:28 | +16 | 35 | 11 | 6 | 3 | 2 | 28:13 | +15 | 21 | 12 | 4 | 2 | 6 | 16:15 | +1 | 14 |
| 7 | უიმბლდონი | 23 | 9 | 8 | 6 | 29:33 | -4 | 35 | 12 | 7 | 4 | 1 | 18:11 | +7 | 25 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:22 | -11 | 10 |
| 8 | დერბი | 23 | 8 | 10 | 5 | 23:20 | +3 | 34 | 11 | 4 | 5 | 2 | 11:9 | +2 | 17 | 12 | 4 | 5 | 3 | 12:11 | +1 | 17 |
| 9 | ვესტ ჰემი | 23 | 9 | 6 | 8 | 25:31 | -6 | 33 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:14 | +4 | 21 | 12 | 3 | 3 | 6 | 9:17 | -8 | 12 |
| 10 | მიდლსბრო | 23 | 7 | 11 | 5 | 32:28 | +4 | 32 | 12 | 4 | 7 | 1 | 16:10 | +6 | 19 | 11 | 3 | 4 | 4 | 16:18 | -2 | 13 |
| 11 | ტოტენჰემი | 23 | 7 | 9 | 7 | 29:31 | -2 | 30 | 11 | 5 | 4 | 2 | 19:16 | +3 | 19 | 12 | 2 | 5 | 5 | 10:15 | -5 | 11 |
| 12 | ლესტერი | 23 | 7 | 9 | 7 | 25:27 | -2 | 30 | 11 | 5 | 3 | 3 | 17:16 | +1 | 18 | 12 | 2 | 6 | 4 | 8:11 | -3 | 12 |
| 13 | ნიუკასლი | 23 | 7 | 7 | 9 | 28:32 | -4 | 28 | 12 | 6 | 2 | 4 | 16:15 | +1 | 20 | 11 | 1 | 5 | 5 | 12:17 | -5 | 8 |
| 14 | შეფილდი | 23 | 7 | 5 | 11 | 25:23 | +2 | 26 | 12 | 5 | 3 | 4 | 13:7 | +6 | 18 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:16 | -4 | 8 |
| 15 | ევერტონი | 23 | 5 | 9 | 9 | 13:25 | -12 | 24 | 12 | 2 | 7 | 3 | 3:6 | -3 | 13 | 11 | 3 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 11 |
| 16 | ქოვენთრი | 23 | 6 | 5 | 12 | 23:32 | -9 | 23 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:13 | +4 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 6:19 | -13 | 4 |
| 17 | ბლექბერნი | 23 | 5 | 7 | 11 | 22:30 | -8 | 22 | 12 | 5 | 3 | 4 | 14:12 | +2 | 18 | 11 | 0 | 4 | 7 | 8:18 | -10 | 4 |
| 18 | საუთჰემპტონი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:46 | -23 | 20 | 12 | 4 | 2 | 6 | 18:21 | -3 | 14 | 11 | 1 | 3 | 7 | 5:25 | -20 | 6 |
| 19 | ჩარლტონი | 23 | 3 | 8 | 12 | 26:37 | -11 | 17 | 11 | 2 | 4 | 5 | 15:13 | +2 | 10 | 12 | 1 | 4 | 7 | 11:24 | -13 | 7 |
| 20 | ნოტინგემი | 23 | 3 | 7 | 13 | 19:41 | -22 | 16 | 11 | 1 | 6 | 4 | 9:13 | -4 | 9 | 12 | 2 | 1 | 9 | 10:28 | -18 | 7 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 13 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 12 |
| იორკი (მანჩესტერი) | 12 |

### XXIV ტური

6 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | - | ბლექბერნი |
| ჩარლტონი | - | უიმბლდონი |
| ჩელსი | - | საუთჰემპტონი |
| დერბი | - | ევერტონი |
| ლიდსი | - | ნიუკასლი |
| ლესტერი | - | შეფილდი |
| ლივერპული | - | მიდლსბრო |
| ნოტინგემი | - | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | - | ქოვენთრი |
| ვესტ ჰემი | - | არსენალი |

## პირველი დივიზიონი

XXX ტური

### ბირმინგემი 2:1 ბრედფორდი

0:1 ლოურენსი (27); 1:1, 2:1 ფარლონგი (45, 90)

### ბოლტონი 2:0 ნორვიჩი

1:0 ჰოლდსვორსი (38), 2:0 კოქსი (65)

### ქრიუ 1:2 შეფილდი

1:0 ჯეკი (5), 1:1 მარსელო (52), 1:2 დევლინი (90)

### ჰადერსფილდი 2:2 ბრისტოლი

1:0 ფილიპსი (3), 1:1 აკინბიი (16), 2:1 ჯონსონი (59), 2:2 ლოკი (61)

### იფსვიჩი 1:0 პორტ ვეილი

1:0 კლეპჰემი (41)

### ოქსფორდი 1:0 ბარნსლი

1:0 ვინდასი (60)

### ქუინზ პარკი 1:1 პორტსმუთი

1:0 პიკოკი (50), 1:1 ნაითინგეილი (63)

### სტოკპორტი 1:2 ვულვზი

0:1 რიჩარდსი (54), 1:1 ეინჯელი (56); 1:2 რობინსონი (74)

### სვინდონი 1:1 ბერი

0:1 ლითლჯონი (68), 1:1 ვესტი (86ს.კ.)

### ტრანმერი 3:1 კრისტალ პალასი

1:0 ლ. ჯონსი (31), 1:1 ბრედბერი (39), 2:1 ალენი (45), 3:1 ტეილორი (69),

### უოტფორდი 2:1 სანდერლენდი

1:0 რაიტი (19), 1:1 ქუინი (36), 2:1 ნოელ-უილიამსი (53)

### ვესტ ბრომვიჩი 1:1 გრიმსბი

0:1 ბლეკი (28), 1:1 ჰიუზი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 29 | 17 | 9 | 3 | 60:21 | 60 |
| ბრედფორდი | 29 | 16 | 5 | 8 | 53:32 | 53 |
| ბოლტონი | 28 | 14 | 10 | 4 | 53:33 | 52 |
| ბირმინგემი | 29 | 15 | 7 | 7 | 45:27 | 52 |
| იფსვიჩი | 29 | 15 | 6 | 8 | 38:19 | 51 |
| უოტფორდი | 30 | 13 | 10 | 7 | 46:39 | 49 |
| გრიმსბი | 29 | 14 | 6 | 9 | 34:30 | 48 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 13 | 7 | 10 | 53:45 | 46 |
| ვულვზი | 29 | 12 | 8 | 9 | 39:29 | 44 |
| ჰადერსფილდი | 29 | 12 | 7 | 10 | 42:47 | 43 |
| ნორვიჩი | 28 | 11 | 9 | 8 | 43:39 | 42 |
| შეფილდ იუნ. | 29 | 11 | 8 | 10 | 44:47 | 41 |
| ბარნსლი | 29 | 9 | 10 | 10 | 37:36 | 37 |
| კრ. პალასი | 29 | 9 | 8 | 12 | 41:51 | 35 |
| სვინდონი | 29 | 9 | 8 | 12 | 40:46 | 35 |
| ტრანმერი | 29 | 7 | 13 | 9 | 37:41 | 34 |
| ქუინზ პარკი | 29 | 8 | 8 | 13 | 32:39 | 32 |
| ბერი | 29 | 7 | 10 | 12 | 27:39 | 31 |
| პორტსმუთი | 29 | 7 | 9 | 13 | 36:45 | 30 |
| სტოკპორტი | 29 | 6 | 12 | 11 | 34:39 | 30 |
| ოქსფორდი | 29 | 7 | 7 | 15 | 30:51 | 28 |
| ბრისტოლი | 29 | 5 | 11 | 13 | 40:57 | 26 |
| პორტ ვეილი | 29 | 7 | 4 | 18 | 29:53 | 25 |
| ქრიუ | 29 | 5 | 6 | 18 | 32:60 | 21 |

## იტალია

### XIX ტური

# ბედი ისეთი რამაა...

**ბარი 1:3 ლაციო**

0:1 ლომბარდო (21), 0:2 ვიერი (35), 1:2 კნუდსენი (72), 1:3 ვიერი (86)
ბარი: მანჩინი, დე როზა (ინოჩენტი 61), გარსია, ნექროიზი, დე აშენტისი, ანდერსონი, ბრესანი, მარკოლინი (კნუდსენი 46), ძამბროტა, ოსმანოვსკი (ოლივარესი 53), მასინგა
ლაციო: მარკეჯანი (ბალოტა 83), ფავალი, ნესტა, პანკარო, მიხაილოვიჩი, სტანკოვიჩი (ნედვედი 78), კონსეისაო, ლომბარდო (კოუტუ 64), მანჩინი, სალასი, ვიერი
გაფრთხილება: დე აშენტისი, ლომბარდო, მასინგა, სტანკოვიჩი
მსაჯი: რაკალბუტო

**კალიარი 1:0 იუვენტუსი**

1:0 ბერეტა (17)
კალიარი: სკარპი, ვილა, ძანონჩელი, გრასადონია, ვაზარი (ძებინა 89), ბერეტა, ძანეტი, დე პატრე (აბეიჯონი 91), მაჩელარი, ონილი, ბუცი
იუვენტუსი: პერუცი, იულიანო, მონტერო, პესოტო, დი ლივიო, კონტე (ანრი 46), დეშამი (ტუდორი 75), დავიდსი, ზიდანი, ესნაიდერი, ფონსეკა (ამორუზო 60)
გაფრთხილება: ძანეტი, დეშამი, ვაზარი, დავიდსი
მსაჯი: ჩეკარინი

**ფიორენტინა 3:0 ვიჩენცა**

1:0 ფალკონე (36), 2:0 ტორიჩელი (39), 3:0 ბატისტუტა (82)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი (ტაროცი 66), ამორი, რუი კოშტა (ბიჯიკა 85), რობიატი (ფიჩინი 63), ედმუნდო, ბატისტუტა
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, აურელიო, დი ჩარა, ბეგეტო, სკენარდი (კარდონე 70), დაბო, დი კარლო (ნეგრი 49), მენდესი (ვივიანი 82), ძაული, ოტერო
გაფრთხილება: მენდესი
მსაჯი: ბორიელო

**მილანი 3:2 სალერნიტანა**

1:0 ბირჰოფი (3), 1:1 ჯამპაოლო (7), 1:2 დელ გროსო (14), 2:2 ვეა (25), 3:2 ბირჰოფი (60)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, გულიელმინპიეტრო (ბა 22), ამბროზინი (ნგოტი 80), ბობანი, ციგე, მორფეო, ბირჰოფი, ვეა
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფუსკო, ფრეზი, დელ გროსო, მ. როსი, ბერნარდინი, ბრედა (კოლოუსეკი 84), ტოსტო (დი მიკელე 71), დი ვაიო, ჯამპაოლო (ვანუჩი 61)
მსაჯი: პელეგრინო

**პერუჯა 2:0 სამპდორია**

1:0 კავიედესი (20), 2:0 მატრეკანო (25)
პერუჯა: მაცანტინი, სოლანო (პელეგრინი 92), მატრიკანო, რიპა, კოლონელო, პეტრაკი (ტენტონი 70), ოლივე, ტედესკო, რაპაიჩი, ნაკატა, კავიედესი (ბუკი 63)
სამპდორია: ფერონი, გრანდონი, მანინი (ჟივკოვიჩი 77), ლასისი, კასტელინი, ბალერი (ლი შარპი 43), პეკია (ორტეგა 61), დორივა, ვერგასოლა, მონტელა, პალმიერი
გაფრთხილება: მანინი, ოლივე, ორტეგა, ლასისი, ტედესკო, ვერგასოლა
მსაჯი: ბოჯი

**უდინეზე 2:0 ბოლონია**

1:0, 2:0 სოსა (13, 73)
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, კალორი, პიერინა, ნავასი (ბისგარდი 92), ჯანიკედა, აპია, ბაკინი, ლოკატელი, სოსა, ამოროზო (იორგენსენი 79)
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, პაგანინი (ლუკიჩი 87), მანგონე, ბეტარინი (კოლივანოვი 72), ბინოტო, ინგესონი, მაინი, კაპიოლი (ფონტოლანი 60), ანდერსონი, სინიორი
გაფრთხილება: ლოკატელი, ინგესონი, პაგანინი, რინალდი
მსაჯი: ჩეზარი

**პიაჩენცა 0:0 ინტერი**

პიაჩენცა: ფიორი, საკეტი, დელი კარი, ვერხოვოდი, პოლონია, ბუზო (ლამაში 64), მაცოლა, სტროპა, მანიგეტი, რასტელი, დიონიჯი (ს. ინძაგი 64)
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, სიმიჩი, გალანტე, სილვესტრი, ძანეტი, კოე, სიმეონე, ზე ელიასი (მორიერო 57, ვინტერი 76), ჯორკაეფი, რ. ბაჯო (პირლო 79)
გაფრთხილება: მანიგეტი, კოე
მსაჯი: მესინა

**რომა 1:1 ემპოლი**

1:0 პაულუ სერჟიო (55), 1:1 კერბონე (91)
რომა: კიმენტი, კაფუ (ალეინიჩევი 28), ალდაირი, ძაგო, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, გაუტიერი (ტოტი 70), დელვეკიო, პაულუ სერჟიო
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ლუჩენტი, მორონე (კამარა 93), მარტუშელო (გრელა 59), ბიზოლი, ბონომი, კერბონე, კარპარელი (მარკიონი 79)
გაფრთხილება: კაფუ, ფუსკო, მარტუშელო, გაუტიერი
მსაჯი: კოლინა

**პარმა 2:2 ვენეცია**

1:0 დ. ბაჯო (16), 1:1, 1:2 მანიერო (45, 52), 2:2 კიეზა (85)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარი (ფიორე 71), ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი (კიეზა 61), ბენარივო, ვერონი, ბალბო, კრესპო
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, ლუპი, პავანი, დალ კანტო, პედონე, იაკინი, ვოლპი, მარანგონი, რეკობა (ვალტოლინა 68), მანიერო (ტუტა 79)
გაფრთხილება: პავანი, ლუპი, ვალტოლინა
მსაჯი: ბაცოლი




ფიორენტინა — ვიჩენცა 3:0. ფლორენციელმა ბატისტუტამ დაბოს წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც გაიტანა სეზონში მე-18 გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A-ს სეზონი ეკვატორს გადაცდა და დადგა ის პერიოდი, როდესაც თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ვინ იცის, კვირას ბარიში მოპოვებული გამარჯვება რომის „ლაციოს“ ბოლოს როგორ გამოადგეს, არადა, გასული კვირის შუაში გუნდმა თასზე წააგო „ინტერთან“. რაზე მიუთითებს ეს? ან იმაზე, რომ რომაელებმა მიკროკრიზისი უცბად დაძლიეს, რაც მათ სასახელოდ მეტყველებს, ან კიდევ იმაზე, რომ მათ მილანელებს შეგნებულად დაუთმეს სათასო შეხვედრა, რათა მთელი ენერგია ჩემპიონატის შეხვედრებისთვის დაზოგონ — ესეც მათ ანგარიშიანობაზე მეტყველებს.

გასათვალისწინებელია, რომ არც „ბარი“ გახლავთ ხელწამოსაკრავი გუნდი. მართალია ის ლიდერთა შორის არ არის, მაგრამ მიმდინარე სეზონში შინ არავის ეპუება, ოთხჯერ მოიგო, ხუთჯერ ფრედ ითამაშა, წაგებით კი აქამდე არ წაეგო.

„ლაციო“ ის გუნდია, რომელიც როგორც წესი თუ იგებს, იგებს, თუ არა და... გავიხსენოთ გასული წლის ამბავი: გუნდი შუა სეზონში დიდებულად თამაშობდა და სკუდეტოს მოპოვების უპირველეს კანდიდატად ითვლებოდა, მერე კი, (დახეთ ბედის ირონიას) სწორედ „ინტერთან“ წაგებას საშინელი დამარცხებები მიაყოლა. მან სერია A-ში ბოლო ხუთი (!) შეხვედრა წააგო და საბოლოო ცხრილში მეშვიდე ადგილს დასჯერდა. საოცარია, რომ „ლაციოს“ მანამდე ზედიზედ შვიდი მატჩი ჰქონდა მოგებული.

ერთია გუნდის სიძლიერე, იღბალი კი მეორე. ჩემპიონატში გამარჯვებისთვის ნებისმიერ გუნდს ისეთივე ბედი სჭირდება, ბარიში რომ ჰქონდათ რომაელებს: 21-ე წუთზე დეიან სტანკოვიჩმა თავისი საჯარიმოდან მასპინძელთა კარის მიმართულებით ძლიერად გადააგდო ბურთი. მეკარემ, ფრანჩესკო მანჩინიმ უცბად ყველაფერი აურია, ბურთის სიჩქარე ვერ განსაზღვრა, რის გამოც საჯარიმოს გარეთ აღმოჩნდა, სადაც იტალიაში „კრისტალ პალასიდან“ დაბრუნებულ ატილიო ლომბრადოს დაუგდო ბურთი. ლომბარდომ დაბნეული გოლკიპერის საჩუქარი შეირგო და ანგარიში გახსნა.

მანჩინიმ, ბურთის ხელში ჩაგდებას რომ ცდილობდა, საჯარიმოს ოდნავ გარეთ ხელით ითამაშა, რისთვისაც თითქოს გაძევებას იმსახურებდა, თუმცა არბიტრმა სალვატორე რაკალბუტომ ყვითელი აკმარა, ოღონდ გოლი ჩათვალა, რადგან ხელით თამაშის დროს არ დაუსტვენია.

სტანკოვიჩმა რომაელთა კიდევ ერთ გოლში მიიღო მონაწილეობა. ეს გოლიც უცნაური გამოდგა: როდესაც იუგოსლავიელმა ბურთის გადაწოდება განიზრახა, მისი ჩილელი თანაგუნდელი მარსელო სალასი ოფსაიდში იდგა. ამიტომაც სტანკოვიჩის პასი სხვა მიმართულებით შედგა. იქ „ბარის“ ნახევარმცველი თურმე პანიკაში იყო. ის, რაც სტანკოვჩმა არ გააკეთა, მან შეასრულა — სალასს გადააწოდა ბურთი. სალასმა თავის მხრივ კრისტიან ვიერის გაუწია ასისტენტობა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შეტევათა ნაკადი მოაწყვეს და შეამცირეს კიდეც სხვაობა: სინიშა მიხაილოვიჩმა წესი დაარღვია,, მსაჯმა ჯარიმა დანიშნა, პეტერ კნუდსენმა კი ბურთი პირდაპირ ცოცხალ კედელს დაუმიზნა — ბილიარდის პრინციპმა იმუშავა, კედელში მდგომი მცველისგან ასხლეტილი ბურთი კარში შევარდა.

თუმცა, „ბარის“ მხრივ ეს იყო და ეს. მასინგამ და ოლივარესმა ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს, ვიერიმ კი კონსეისაოს პასით სტუმართა მესამე გოლი გაიტანა.

ამასობაში „ფიორენტინამ“ „ვიჩენცას“ 3:0 მოუგო, რაც მისთვის ზედიზედ მეათე საშინაო გამარჯვება გახლდათ. „პარმამ“ კი „ვენეციასთან“ 2:2 ითამაშა — ამრიგად, „ლაციო“ მეორე ადგილზე ალზევდა და სამი ქულით ჩამორჩება „ფიორენტინას“, მის მდევარი კი ორი ქულით ჩამორჩენილი „მილანი“ გახლავთ, რომელმაც „სალერნიტანასთან“ 1:2, 3:2-ით შეცვალა.

„ლაციოს“ თამაშმა „ბარის“ მწვრთნელს ეუჯენიო ფაშეტის ერთობ ორიგინალური აზრი შეუქმნა:

„თუ რომაელები ისე ითამაშებენ, როგორც დღეს, ვერაფრით მოიპოვებენ ჩემპიონის ტიტულს“.

ჩემპიონობაზე ფიქრობს „ფიორენტინას“ მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონიც, მაგრამ ჯერ რაიმეზე გადაჭრით საუბარი მაინც ადრეა, ოცნებები ოცნებებად რჩება, სინამდვილე კი როგორც ყოველთვის მწარეა და პირდაპირ სახეში სცემს. მაგალითად, „იუვენტუსი“ ავიღოთ. ყველა პარამეტრით, მათ შორის ფინანსურად დიდმა კლუბმა სერია A-ში ახალაღზევებულ „კალიარისთან“ წააგო და ანგარიში მხოლოდ 0:1 რომ დაურჩა, ბედს უდიდესი მადლობა უნდა უძღვნას. მარტო პირველ წუთებზე უნდა გაეტანათ სარდინიელებს ორი გოლი, მაგრამ ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ შესვენების შემდეგ ერთი და ყველაფრის გადამწყვეტი შეაგდეს. მეორე ტაიმშივე „იუვეს“ მეკარემ ანჯელო პერუციმ პენალტი მოიგერია, მაგრამ...

„პარმას“ სიფრთხილე, დაფიქრება და რაღაც-რაღაცეების გათვალისწინება მართებს. ჩემპიონატის წინ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად გამოცხადებულმა შინ კინაღამ ზედიზედ მეორედ წააგო. ენრიკო კიეზამ 85-ე წუთზე გაათანაბრა და გადაარჩინა ქულაცა და ჩემპიონობაზე ოცნებაც.

**ბაპუნა ძედია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 19 | 13 | 2 | 4 | 37:18 | +19 | 41 | 10 | 10 | 0 | 0 | 24:4 | +20 | 30 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 11 |
| 2 | ლაციო | 19 | 11 | 5 | 3 | 40:21 | +19 | 38 | 9 | 6 | 3 | 0 | 24:9 | +15 | 21 | 10 | 5 | 2 | 3 | 16:12 | +4 | 17 |
| 3 | მილანი | 19 | 10 | 6 | 3 | 31:23 | +8 | 36 | 10 | 7 | 2 | 1 | 20:11 | +9 | 23 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:12 | -1 | 13 |
| 4 | პარმა | 19 | 9 | 7 | 3 | 33:17 | +16 | 34 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:7 | +11 | 21 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:10 | +5 | 13 |
| 5 | ინტერი | 19 | 9 | 4 | 6 | 37:26 | +11 | 31 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:13 | +15 | 21 | 10 | 2 | 4 | 4 | 9:13 | -4 | 10 |
| 6 | რომა | 19 | 7 | 7 | 5 | 38:27 | +11 | 28 | 10 | 7 | 3 | 0 | 25:7 | +18 | 24 | 9 | 0 | 4 | 5 | 13:20 | -7 | 4 |
| 7 | იუვენტუსი | 19 | 7 | 6 | 6 | 20:19 | +1 | 27 | 9 | 6 | 2 | 1 | 11:3 | +8 | 20 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:16 | -7 | 7 |
| 8 | უდინეზე | 19 | 7 | 6 | 6 | 24:27 | -3 | 27 | 10 | 5 | 4 | 1 | 14:8 | +6 | 19 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:19 | -9 | 8 |
| 9 | ბოლონია | 19 | 6 | 7 | 6 | 22:18 | +4 | 25 | 10 | 3 | 4 | 3 | 14:11 | +3 | 13 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:7 | +1 | 12 |
| 10 | ბარი | 19 | 5 | 10 | 4 | 24:23 | +1 | 25 | 10 | 4 | 5 | 1 | 11:8 | +3 | 17 | 9 | 1 | 5 | 3 | 13:15 | -2 | 8 |
| 11 | კალიარი | 19 | 7 | 2 | 10 | 30:33 | -5 | 23 | 10 | 6 | 2 | 2 | 20:12 | +8 | 20 | 9 | 1 | 0 | 8 | 10:21 | -11 | 3 |
| 12 | პერუჯა | 19 | 6 | 4 | 9 | 26:33 | -7 | 22 | 10 | 6 | 2 | 2 | 20:14 | +6 | 20 | 9 | 0 | 2 | 7 | 6:19 | -13 | 2 |
| 13 | პიაჩენცა | 19 | 4 | 7 | 8 | 25:31 | -3 | 19 | 9 | 4 | 4 | 1 | 18:13 | +5 | 16 | 10 | 0 | 3 | 7 | 7:19 | -12 | 3 |
| 14 | ვენეცია | 19 | 4 | 7 | 8 | 15:26 | -11 | 19 | 9 | 3 | 4 | 2 | 8:8 | 0 | 13 | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | -11 | 6 |
| 15 | სალერნიტანა | 19 | 4 | 4 | 11 | 17:32 | -15 | 16 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:10 | +2 | 15 | 10 | 0 | 1 | 9 | 5:22 | -17 | 1 |
| 16 | ვიჩენცა | 19 | 3 | 7 | 9 | 10:25 | -15 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 7:9 | -2 | 13 | 10 | 0 | 3 | 7 | 3:16 | -13 | 3 |
| 17 | სამპდორია | 19 | 3 | 7 | 9 | 17:35 | -18 | 16 | 9 | 3 | 5 | 1 | 11:8 | +3 | 14 | 10 | 0 | 2 | 8 | 6:27 | -21 | 2 |
| 18 | ემპოლი* | 19 | 3 | 8 | 8 | 16:28 | -12 | 15 | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | -2 | 12 | 10 | 0 | 5 | 5 | 6:16 | -9 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 18 |
| მუცი (კალიარი) | 12 |
| კრესპო (პარმა) | 11 |
| დელვეკიო (რომა) | 11 |
| სინიორი (ბოლონია) | 11 |

**XX ტური**

2 თებერვალი

ბოლონია - ბარი
სამპდორია - კალიარი
ინტერი - ემპოლი
ფიორენტინა - მილანი
იუვენტუსი - პარმა
ლაციო - პერუჯა
ვიჩენცა - პიაჩენცა
ვენეცია - რომა
სალერნიტანა - უდინეზე

## სერია B

### XX ტური

**რეჯანა 1:1 ტერნანა**

1:0 მარჯოტა (45), 1:1 ჩუკიარი (59)
რეჯანა: აბატე, კერუბინი (ალეგრეტი 89), ძინი, სკარპონი, პარიზი, ბრეშიანი, კარბონე, კაპელაჩი, მასპერო, მარჯოტა (პონძო 78), პროტი

**ჩეზენა 1:0 ბრეშა**

1:0 ბარონკელი (44)

**კიევო 4:2 ტრევიზო**

1:0 ფრანჩესკინი (25), 2:0 დე ჩეზარე (48), 2:1 როსი (64), 3:1, 4:1 დე ჩეზარე (69პ, 77), 4:2 ორლანდო (79პ)

**კოზენცა 1:0 ნაპოლი**

1:0 დე ფრანჩესკო (71)

**ფ. ანდრია 3:2 რავენა**

1:0 მერსიერი (13), 1:1, 1:2 ბილიოტი (22, 34), 2:2 ფლორიანჩიჩი (40), 3:2 პანარელი (50)

**ჯენოა 2:1 ატალანტა**

1:0, 2:0 რუოტოლო (24, 70), 2:1 კოსატო (92პ)

**ლუკეზე 1:2 მონცა**

0:1, 0:2 დავერსა (8, 65), 1:2 პაკი (77პ)

**პესკარა 1:1 ვერონა**

0:1 კამარატა (12), 1:1 ჯელსი (28პ)

**რეჯინა 1:3 ლეჩე**

0:1 სტელონე (23), 0:2 კონტიკიო (47), 0:3 სესა (73), 1:3 არტიკო (92)

**ტორინო 5:3 კრემონეზე**

1:0 ფერანტე (15), 1:1 ჯირარდელო (28), 2:1 ფერანტე (44პ), 3:1 შიენძა (47), 4:1 კრიპა (55), 5:1 არტისტიკო (69პ), 5:2 პიცი (76პ), 5:3 ჯირარდელო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 20 | 12 | 5 | 3 | 32:15 | 41 |
| ტრევიზო | 20 | 10 | 8 | 2 | 33:20 | 38 |
| ტურინო | 20 | 11 | 4 | 5 | 32:17 | 37 |
| ლეჩე | 20 | 9 | 6 | 5 | 24:17 | 33 |
| ატალანტა | 20 | 9 | 6 | 5 | 22:16 | 33 |
| ბრეშა | 20 | 8 | 8 | 4 | 23:15 | 32 |
| პესკარა | 20 | 9 | 5 | 6 | 28:22 | 32 |
| რეჯინა | 20 | 8 | 7 | 5 | 23:18 | 31 |
| რავენა | 20 | 8 | 7 | 5 | 27:24 | 31 |
| ნაპოლი | 20 | 6 | 9 | 5 | 18:18 | 27 |
| მონცა | 20 | 7 | 6 | 7 | 17:19 | 27 |
| ჯენოა | 20 | 6 | 6 | 8 | 24:25 | 24 |
| კიევო | 20 | 6 | 6 | 8 | 19:24 | 24 |
| კოზენცა | 20 | 6 | 5 | 9 | 20:29 | 23 |
| ლუკეზე | 20 | 4 | 8 | 8 | 17:18 | 20 |
| ტერნანა | 20 | 3 | 10 | 7 | 17:26 | 19 |
| რეჯანა | 20 | 3 | 8 | 9 | 19:26 | 17 |
| ჩეზენა | 20 | 3 | 7 | 10 | 15:25 | 16 |
| კრემონეზე | 20 | 3 | 6 | 11 | 18:37 | 15 |
| ფ. ანდრია | 20 | 3 | 5 | 12 | 13:30 | 14 |

## ესპანეთი

### XX ტური

#### ბარსელონა 3:2 რასინგი

1:0 ვიქტორი (28), 1:1 მერინო (35ს.კ.), 2:1 ფ. დე ბური (45), 2:2 მუნიტისი (49), 3:2 კოკუ (86)
ბარსელონა: ჰესპი, ფ. დე ბური, აბელარდო, სერხი, რ. დე ბური, კოკუ, გვარდიოლა, ფიგუ, ლუის ენრიკე (ოსკარი 69), კლუივერტი (ზენდენი 59), რივალდო
რასინგი: სებალოსი, არსენო, მელბრგი, მერინო, ტაისი, ვიქტორი, ამავისკა (შუსტიკოვი 76), ისმაელი, მუნიტისი, მაგალანეში (სიეტესი 38), ბესჩასტნიხი
გაფრთხილება: აბელარდო, ფიგუ, ოსკარი, არსენო, ვიქტორი, ისმაელი, ფ. დე ბური
გაძევება: ფ. დე ბური, მელბერგი
მსაჯი: დიას ვეგა

#### ატლეტიკო 1:2 ვალენსია

0:1 კ. ლოპესი (12), 1:1 ხოსე მარი (17), 1:2 ანგულო (27)
ატლეტიკო: მოლინა, რამონი, ტონი (ჟუნინიო 46), სანტი, აგილერა, სერენა, ვენტურინი, ვალერონი, რობერტო (მენა 71), ხოსე მარი, კორეა
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, ანგლომა, ხუანფრანი (როში 85), მენდიეტა, ფარინოსი, მილა (შვარცი 75), კ. ლოპესი (ვლაოვიჩი 89), ანგულო
გაფრთხილება: ტონი, ხოსე მარი, კარბონი, ხუანფრანი, მენდიეტა
მსაჯი: პრადოს გარსია

#### ბილბაო 2:0 სარაგოსა

1:0 ხ. ეჩებერია (9), 2:0 ი. გერერო (60)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ლაკრუსი, ფერეირა, ურუტია, ი. გერერო (იმასი 66), კარლოს გარსია, ალკისა, ხავი გონსალესი (რიოსი 74), ხ. ეჩებერია, ურსაისი (ესკუერო 69)
სარაგოსა: მონდრაგონი, პაკო, პაბლო, სოლანა, აგუადო, არაგონი, კილი გონსალესი, ტორო აკუნია (ვუტერი 46), ელგერა (გარიტანო 79), მილოშევიჩი, მარკოს ვალესი
გაფრთხილება: ურუტია, ხავი გონსალესი, პაკო, პაბლო, კილი გონსალესი
გაძევება: ურუტია
მსაჯი: მეგია დავილა

#### დეპორტივო 2:1 სელტა

1:0 პაულეტა (9), 2:0 ტურუ ფლორესი (45), 2:1 სანჩესი (79)
დეპორტივო: სონგო, შურერი, ბონისელი, ზიანი (არმანდო 81), მაურო სილვა, ფრანი (ნაიბეტი 79), სკალონი, კონსეისაო, დონატო, ტურუ ფლორესი, პაულეტა
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, გ. ჯოროვიჩი, ხოსემა (ტომასი 59), მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი, მაკელელე (სანჩესი 59), კრუიფი (რევივო 74), პენევი
გართხილება: შურერი, სონგო, ბონისელი, კონსეისაო, პაულეტა, მიჩელ სალგადო
გაძევება: შურერი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

#### ტენერიფე 0:0 ესპანიოლი

ტენერიფე: მონო მონტოია, ბასავილბასო, ლუსენპოფი, ლორენტი, ალექსისი, პაბლო პასი, ჩანო, ემერსონი, პიერი, ხუანელე, პანილია (კოდრო 78)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, ივან ელგერა, არტეაგა (გალკა 69), კაპდევილა, მარტინ პოსე, ნან რიბერა (ბრნოვიჩი 46), ბენიტესი (ტამუდო 75)
გაფრთხილება: ჩანო, სერხიო, ტამუდო
მსაჯი: ჯაპონ სევილია

#### მალიორკა 1:0 სალამანკა

1:0 დანი (52)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (ფ. სოლერი 76), სტანკოვიჩი, ლორენი, ენგონგა, დანი, ბიაჯინი (ჩუპა ლოპესი 78)
სალამანკა: სტელეა, ნუნო ლუისი, კორინო, პავლიჩიჩი, ლანა, ლუნარი (კასარტელი 53), ტაირა, ედუ ალონსო (ბარბარა 80), ჯოვანელა, ველისკა, სილვანი (მუნტეანუ 65)
გაფრთხილება: ოლაისოლა, ენგონგა, ნუნო ლუისი, კორინო, ლუნარი, ტაირა, ედუ ალონსო, ჯოვანელა
მსაჯი: ესკინას ტორესი

#### ვილიარეალი 0:2 რეალი

0:1, 0:2 მორიენტესი (74, 92)
ვილიარეალი: პალოპი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო (კრისტიანსენი 84), ალბელდა, დიასი (ხავი სანჩისი 85), გერარდო, კრაიოვეანუ, ალფარო, მოიზესი (პასკუალი 63)
რეალი: კონტრერასი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, პანუჩი, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი (კარემბუ 87), მორიენტესი, სავიო
გაფრთხილება: ტელესი, გერარდო, მოიზესი, პასკუალი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, ზეედორფი, მიატოვიჩი
მსაჯი: დუდენ იბანესი

#### ოვიედო 2:1 სოსიედადი

1:0 ივან ანია (49), 2:0 დელი ვალდესი (65პ), 2:1 იდიაკესი (85)
ოვიედო: ესტებანი, კეიტა (რაბანიროვი 27), მანელი, სეზარი, ესკურსა, პომპეი (მერინო 81), პაულო ბენტო, ონოპკო, ივან ანია, მიოლერი, დელი ვალდესი
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, ლორენი, ანტია, გომესი (ცვიტანოვიჩი 59), დე პედრო, გრასია, კუხბაუერი (ფ. გერერო 30, იდიაკესი 81), კოვაჩევიჩი, სა პინტუ
გაფრთხილება: რაბანიროვი, სეზარი, დე პედრო, იდიაკესი
მსაჯი: გარსია არანდა

#### ბეტისი 1:0 ალავესი

1:0 ფილიპესკუ (78)
ბეტისი: პრატსი, ფილიპესკუ, აიალა (ოლიასი 62), ხაიმე (კანასი 79), ლუის ფერნანდესი, ურენა, იტო (ბენჯამინი 68), ფინიდი, დენილსონი, ოლი, ალფონსო
ალავესი: იტო, ბელსუე, კარმონა, ბერუე, იბონ ბეგონია (მანიო 82), კანაბალი (ხოსეტე 66), დესიო, ასკოიტია, ხულიო სალინასი, ვიტამინა სანჩესი (ალექსი 57), სივორი
გაფრთხილება: ურენა, იბონ ბეგონია, ასკოიტია
მსაჯი: პერეს ბურული

#### ვალიადოლიდი 0:0 ესტრემადურა

მე-3 წუთზე ხუანიტომ (ესტრემადურა) ვერ გაიტანა პენალტი
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, პენა, ვისკაინო, კამინერო, ტორეს გომესი, ეუსებიო (ვიქტორი 55), ჩემა (ტურიელი 66), ალბერტო (ემილიო 92), პეტერნაკი
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, დავიდი, ბელენგუერი, კალა, ოსკარი, ხუანიტო, ტონი ველამასანი, ვიო, ესპოზიტო (ფელიქსი 79), დურე (მანელი 65), გაბრიჩი (სოტო 75)
გაფრთხილება: ტორეს გომესი, ტურიელი, პეტერნაკი, ტონი ველამასანი
გაძევება: მარკოსი, გარსია კალვო, ვიო
მსაჯი: ბრიტო არსეო

# თურმე მომავალი სხვების ყოფილა

კვირას „ბარსელონა“ სანტანდერის „რასინგს“ 32-ედ მასპინძლობდა. თითქოს აქ განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ მატჩის მიმდინარეობისას საგულისხმო რამ მოხდა — კატალონიელთა ჰოლანდიელმა ახალწვეულმა ფრენკ დე ბურმა პირველი ტაიმის მიწურულს „ბარსელონა“ დააწინაურა და მისთვის მოულოდნელად, „კამპ ნოუზე“ მეტოქე გუნდების დაპირისპირებების ისტორიაში ბარსელონელთა საიუბილეო მეასე გოლის ავტორი აღმოჩნდა. „ლურჯ-წითლებმა“ შეხვედრის ბოლოს კიდევ ერთი, ალბათ, საიუბილეოზე უფრო მნიშვნელოვანი ბურთიც შეაგდეს, მაგრამ ფრენკ დე ბურის პირველი პრიმერადივიზიონული გოლი ისტორიაში მოხვდა. მეორე ტაიმის დაწყებამდე ჰოლანდიელს ამის აღსანიშნავად მედალიონიც კი გადასცეს.

სანამ ფრენკ დე ბური მასპინძლებს დააწინაურებდა, მანამ „ბარსელონა“ აგებდა — რუდ ჰესპის კარის ბადე ვიქტორ სანჩესის დარტყმულმა ბურთმა შეარხია — 0:1. სეზონის მანძილზე ისეც მომხდარა, ჩამორჩენილ კატალონიელებს გაუყაიმებიათ კი არა, კიდევ გაუშვიათ გოლი, მაგრამ ამჯერად მასპინძლები არ შედრკნენ და საქმე ზედიზედ მეექვსე გამარჯვებამდე მიიყვანეს. „ბარსელონა“ არც მეტი არც ნაკლები, 13 დეკემბრის შემდეგ არ დამარცხებულა. წაგება რა მოსატანია — ლუის ვან გაალის გუნდმა დეკემბრის შუაგულიდან მოყოლებული ყველა მეტოქე დაამარცხა.

თუმცა საიუბილეო გოლის ავტორმა ფრენკ დე ბურმა გაძევებაც დაიმსახურა. ერთ-ერთ სანტანდერელთან ექსაიაქსელმა ძალიან იუხეშა და მსაჯმა ყვითელი ბარათი აუფრიალა, რომელიც წამში წითლად იქცა — დე ბური მანამდეც გააფრთხილეს. 66-ე



REUTERS ვილიარეალიდან

ვილიარეალი — რეალი 0:2. უჭირს მადრიდელ მანუელ სანჩისს

წუთზე „ბარსელონა“ კაცნაკლული დარჩა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, „რასინგი“ შინ 26-ედ დაემარცხებინა.

18 შესაძლებლობიდან 18 ქულა! სწორედ ამან განაპირობა ის, რომ პრიმერა დივიზიონს ზედიზედ მეორე ტურია ერთი და იგივე ლიდერი ჰყავს. „ბარსელონამ“ გზიდან ჩამოიცილა ვიგოს „სელტა“, „მალიორკა“ და იმდენად კარგად ათამაშდა, უეჭველია, პირველი კარგა ხანს იქნება. ამის შესახებ აზრი გამოთქვა ვან გაალმა, რომელმაც დაახლოებით ასე განაცხადა „ბარსელონას“ ნათელი მომავალი მაიმედებსო.

წინა ტურში ორხელისუფლებიანობა იყო — „ბარსელონას“ და „სელტას“ თანაბარი რაოდენობის ქულები ჰქონდათ. ორი ლიდერი პრიმერა დივიზიონს ეგებ ამ ტურშიც ჰყოლოდა, მაგრამ ლა კორუნაში „სელტა“ დამარცხდა. „ესტადიო რიასორზე“, თითქმის სავსე რომ იყო, მასპინძლებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს, ვიგომ კი ოდენ ერთი გაქვითა — 26 წლის ხუან ხინეს სანჩეს მორენოს, იმავე სანჩესის გოლს, ბევრი არაფერი შეუცვლია.

„სელტას“ საქმე დაღმა მე-9 წუთზე წავიდა — სტუმართა ტანმაღალი ფრანგი მეკარე რიშარ ფილიპ დუტრუელი მასპინძელთა შეტევის მოგერიებისას ძალიან უხეშად შეცდა და... ანგარიშიც 1:0 გახდა. მეორე გოლი უკეთესი იყო — ლაკორუნიელთა არგენტინელმა ლეგიონერმა, ტურუდ წოდებულმა ხოსე ოსკარ ფლორესმა სამი ვიგოელი მეტოქე მოატყუა, მცველებს მეკარეც მიაყოლა და სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. ბარემ აქვე დავძენ, რომ არგენტინელის გოლმა პირინეის ნახევარკუნძულზე, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. სხვათა შორის, ტურუ ფლორესი ესპანეთის უძლიერეს საფეხბურთო ლიგაში პირველი სეზონია, რაც თამაშობს. აქამდე იგი ორი სეზონი მეორე დივიზიონის „ლას პალმასის“ ღირსებას იცავდა, უფრო ადრე კი მშობლიურ „ველეს სარსფილდში“ იხვეჭდა ტიტულებს. მას იქ არგენტინის ჩემპიონატის გარდა ლიბერტადორესის თასიც მოუგია.

„სელტა“ ზუსტად იმ დღეს დამარცხდა, როცა „ბარსელონამ“ იმარჯვა. წინადღით, შაბათს, პირველობის ექსლიდერმა „მალიორკამ“ შინ, „ესტადიო ლუის სიტიხარზე“ „სალამანკა“ შეიწირა. შაბათსავე მოიგო სამეფო კლუბმა — მადრიდელებმა 12-ათასიან „ელ მადრიგალზე“ მასპინძელი „ვილიარეალი“ დაჩაგრეს. სტუმრებმა ორი ბურთით მოიგეს და ორივე გოლი ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასების მფლობელმა, 22 წლის ფერნანდო მორიენტესმა გაიტანა. სხვათა შორის, ეს მისთვის ზედიზედ მესამე დუბლია — მას თუ გააქვს, მხოლოდ ორი გოლი. „ვილიარეალის“ მწვრთნელმა ხოსე აიტორ ირულეხიმ განაცხადა, ჩემი გუნდი, როგორც ჩანს, პრიმერა დივიზიონში სათამაშოდ არაა მზადო. ირულეხი ესპანეთის უმაღლეს დივიზიონელებს აქამდე შორეულ 1979-80 წლების სეზონში წვრთნიდა, მაშინ მას პროვინციული „მურსია“ ებარა.

სწორედ მაშინ, როცა ზოგი ლიდერი იგებდა, ზოგიც აგებდა, მადრიდში უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გაიმართა — იტალიელი კლაუდიო რანიერის „ვალენსიამ“ ასევე იტალიელი არიგო საკის „ატლეტიკოს“ სტუმრად აჯობა.

ვალენსიელებს მეტოქის „ესტადიო ვინსენტე კალდერონზე“ აქამდე მხოლოდ 12-ჯერ მოეგოთ, არადა, იქ 60-ჯერ ეთამაშათ. მეცამეტე გამარჯვება შედგა — არგენტინელი კლაუდიო ხავიერ ლოპესის და მიგელ ანხელ ანგულო ვალდერეის ორი გოლით „ვალენსიამ“ სამი ქულა მოიპოვა და „ბარსელონას“ მიუახლოვდა. მას და ლიდერს შორის სხვაობა ქულაღაა.

— ვგრძნობდი, რომ ჩვენი შრომა დაფასდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ფეხბურთელი თავს არ ზოგავდა. შედეგიც სახეზეა — „ვალენსია“ ძლიერ გუნდად იქცა. კლუბს ძალუძს ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. მომავალი ჩვენია! — განაცხადა კლაუდიო რანიერიმ.

„ბარსელონას“ დარად, „ვალენსიაც“ კარგა ხანია, არ დამარცხებულა. მომავალ ტურში ბევრი რამ გაირკვევა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 20 | 11 | 4 | 5 | 43:24 | +19 | 37 | 11 | 7 | 2 | 2 | 30:15 | +15 | 23 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | +4 | 14 |
| 2 | ვალენსია | 20 | 11 | 3 | 6 | 32:21 | +11 | 36 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:6 | +12 | 22 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | -1 | 14 |
| 3 | მალიორკა | 20 | 10 | 5 | 5 | 21:13 | +8 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 15:4 | +11 | 26 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:9 | -3 | 9 |
| 4 | სელტა | 20 | 9 | 7 | 4 | 39:24 | +15 | 34 | 9 | 6 | 3 | 0 | 24:9 | +15 | 21 | 11 | 3 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 13 |
| 5 | რეალი | 20 | 10 | 4 | 6 | 41:30 | +11 | 34 | 9 | 5 | 2 | 2 | 23:13 | +10 | 17 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:17 | +1 | 17 |
| 6 | დეპორტივო | 20 | 9 | 6 | 5 | 30:23 | +7 | 33 | 11 | 7 | 3 | 1 | 22:10 | +12 | 24 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:13 | -5 | 9 |
| 7 | ბილბაო | 20 | 10 | 3 | 7 | 29:27 | +2 | 33 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:12 | +6 | 20 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:15 | -4 | 13 |
| 8 | ატლეტიკო | 20 | 9 | 5 | 6 | 35:23 | +12 | 32 | 11 | 7 | 3 | 1 | 26:6 | +20 | 24 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:17 | -8 | 8 |
| 9 | ოვიედო | 20 | 8 | 6 | 6 | 26:28 | -2 | 30 | 11 | 6 | 3 | 2 | 13:8 | +5 | 21 | 9 | 2 | 3 | 4 | 13:20 | -7 | 9 |
| 10 | სოსიედადი | 20 | 8 | 5 | 7 | 28:25 | +3 | 29 | 10 | 7 | 2 | 1 | 19:6 | +13 | 23 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:19 | -10 | 6 |
| 11 | სარაგოსა | 20 | 8 | 4 | 8 | 25:26 | -1 | 28 | 9 | 5 | 0 | 4 | 15:14 | +1 | 15 | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | -2 | 13 |
| 12 | ბეტისი | 20 | 7 | 5 | 8 | 16:23 | -7 | 26 | 10 | 5 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 17 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:12 | -6 | 9 |
| 13 | ესპანიოლი | 20 | 5 | 9 | 6 | 20:21 | -1 | 24 | 9 | 3 | 5 | 1 | 9:7 | +2 | 14 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:14 | -3 | 10 |
| 14 | ვილიარეალი | 20 | 6 | 6 | 8 | 26:29 | -3 | 24 | 11 | 4 | 4 | 3 | 17:14 | +3 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 |
| 15 | ვალიადოლიდი | 20 | 6 | 5 | 9 | 18:23 | -5 | 23 | 11 | 6 | 2 | 3 | 13:7 | +6 | 20 | 9 | 0 | 3 | 6 | 5:16 | -11 | 3 |
| 16 | რასინგი | 20 | 5 | 7 | 8 | 23:27 | -4 | 22 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:10 | +3 | 12 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | -7 | 10 |
| 17 | ტენერიფე | 20 | 3 | 9 | 8 | 19:29 | -10 | 18 | 11 | 1 | 7 | 3 | 10:13 | -3 | 10 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 8 |
| 18 | ესტრემადურა | 20 | 4 | 5 | 11 | 12:32 | -20 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 10 | 11 | 1 | 4 | 6 | 7:21 | -14 | 7 |
| 19 | ალავესი | 20 | 4 | 4 | 12 | 14:31 | -17 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 7:7 | 0 | 12 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:24 | -17 | 4 |
| 20 | სალამანკა | 20 | 4 | 4 | 12 | 16:34 | -18 | 16 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | +3 | 15 | 11 | 0 | 1 | 10 | 3:24 | -21 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რივალდო (ბარსელონა) | 12 |
| ურსაისი (ბილბაო) | 11 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 11 |
| ლოპესი (ვალენსია) | 11 |
| დელი ვალდესი (ოვიედო) | 11 |

### XXI ტური

7 თებერვალი

ალავესი - ოვიედო
სოსიედადი - ტენერიფე
ესპანიოლი - მალიორკა
სალამანკა - ატლეტიკო
ვალენსია - დეპორტივო
სელტა - ვილიარეალი
რეალი - ვალიადოლიდი
ესტრემადურა - ბარსელონა
რასინგი - სარაგოსა
სარაგოსა - ბეტისი

## მეორე დივიზიონი

### XXII ტური

#### ბარსელონა B 1:2 მალიორკა B

1:0 მარიო (8პ), 1:1, 1:2 რამონი (57, 76)

#### ეიბარი 0:0 მალაგა

#### ლეგანესი 1:0 ლეიდა

1:0 პაშონი (1)

#### რეკრეატივო 1:1 კომპოსტელა

1:0 მონტეაგუდო (60), 1:1 ტაბუენკა (66)

#### მერიდა 2:0 ნუმანსია

1:0, 2:0 ბარატა (22, 78)

#### ტოლედო 2:5 სპორტინგი

0:1 სერხიო (24), 1:1 ლუის მანუელი (52პ), 2:1 ხურადო (59), 2:2, 2:3 ჩერიშევი (65, 83), 2:4 კამაჩო (84), 2:5 ოსკარი (89პ)

#### ალბასეტე 1:0 ლას პალმასი

1:0 ვანიჩი (53)

#### ერკულესი 1:3 ატლეტიკო B

1:0 ლუნა (22), 1:1, 1:2, 1:3 ტევენე (30, 50პ, 90)

#### ოსასუნა 1:1 რაიო

0:1 ბოლო (20), 1:1 ტიკო (73)

#### ბადახოსი 2:1 ლოგრონიესი

1:0 სანდრო (27), 1:1 კაბესა (33), 2:1 კასტილიო (34)

#### ორენსე 2:3 სევილია

0:1 ოლივერა (8), 0:2 ექტორი (45), 1:2 მილინკოვიჩი (46), 2:2 გაუჩო (47), 2:3 ოლივერა (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 22 | 12 | 4 | 6 | 39:20 | 40 |
| მალაგა | 22 | 11 | 7 | 4 | 34:24 | 40 |
| რაიო | 22 | 10 | 9 | 3 | 33:29 | 39 |
| ლას პალმასი | 22 | 10 | 8 | 4 | 34:19 | 38 |
| ოსასუნა | 22 | 10 | 8 | 4 | 30:17 | 38 |
| ტოლედო | 22 | 10 | 6 | 6 | 30:27 | 36 |
| მერიდა | 22 | 9 | 6 | 7 | 26:18 | 33 |
| რეკრეატივო | 22 | 9 | 6 | 7 | 20:16 | 33 |
| სევილია | 22 | 9 | 6 | 7 | 28:27 | 33 |
| კომპოსტელა | 22 | 8 | 8 | 6 | 30:23 | 32 |
| ატლეტიკო B | 22 | 8 | 8 | 6 | 35:29 | 32 |
| ლეიდა | 22 | 8 | 8 | 6 | 25:22 | 32 |
| ლოგრონიესი | 22 | 8 | 7 | 7 | 31:32 | 31 |
| მალიორკა B | 22 | 9 | 3 | 10 | 28:31 | 30 |
| ბადახოსი | 22 | 7 | 6 | 9 | 19:19 | 27 |
| ალბასეტე | 22 | 7 | 6 | 9 | 17:21 | 27 |
| ლეგანესი | 22 | 6 | 7 | 9 | 20:27 | 25 |
| სპორტინგი | 22 | 5 | 7 | 10 | 19:28 | 22 |
| ერკულესი | 22 | 6 | 4 | 12 | 21:35 | 22 |
| ეიბარი | 22 | 5 | 4 | 13 | 15:31 | 19 |
| ორენსე | 22 | 4 | 3 | 15 | 19:42 | 15 |
| ბარსელონა B | 22 | 3 | 5 | 14 | 23:39 | 14 |

# ფეხბურთის გაკვეთილი

## საფრანგეთი

XXII ტური

**ბორდო 4:1 მარსელი**

1:0 ვილტორდი (14), 2:0 მიკუ (17), 3:0 ლასლანდი (20), 4:0 ვილტორდი (31), 4:1 დიუგარი (59)

**ბასტია 0:1 რენი**

0:1 ნონდა (68)

**ლანსი 0:3 ლიონი**

0:1 კავეგლია (20), 0:2, 0:3 ჯობი (40, 66)

**ლორიანი 1:1 ნანტი**

1:0 სუმა (32), 1:1 სიბიერსკი (82)

**მონაკო 2:1 პსჟ**

1:0 იკპება (5), 2:1 როდრიგესი (28), 2:1 სისე (80ს.კ.)

**ნანსი 0:1 მონპელიე**

0:1 რობერი (74)

**სოშო 1:1 ოსერი**

1:0 ლიუბოია (14), 1:1 კარნო (88)

**ტულუზი 1:0 მეცი**

1:0 ბატლი (24)

**სტრასბური 0:1 ლე ავრი**

0:1 ბეკანოვიჩი (75)

სეზონის ცენტრალურ შეხვედრაში „ბორდომ“ „მარსელს“ ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარა და ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით გათამაშების ცხრილსაც სათავეში მოექცა. მოედნის შუაგულში უკეთ მოთამაშე, მთლიანობაში უკეთ ორგანიზებული ჟირონდელები მთელ მატჩს აკონტროლებდნენ და შეხვედრა, რომელშიც ორი უძლიერესი ხვდებოდა ერთმანეთს, ფაქტობრივად, ცალკარას თამაშს დაამსგავსეს. რა თქმა უნდა, ამაში „მარსელის“ ხელიც ერია, მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები ლილიან ლასლანდი და სილვენ ვილტორდი იმ საღამოს ძალიან, ძალიან კარგად ბურთაობდნენ. სტუმრებმა პირველ წრეში „მონპელიესთან“ მიღწეული წარმატება ვერ გაიმეორეს, როცა მეორე ტაიმში 0:4-დან 5:4 გაიმარჯვეს — „ბორდო“ ხომ „მონპელიე“ არაა. ნახევარ საათზე ოდნავ მეტ დროში ოთხი გოლის გაშვება მარსელელებისთვის წარმოუდგენელი იყო. ლორან ბლანიდან დაწყებული ფლორიან მორისით დამთავრებული პასუხის გაცემის თავი არავის ჰქონდა. თუმცა, პასუხი ერთია — „მარსელი“ უკვე მეორეა და ჩემპიონობის მოსაპოვებლად ძალიან ძნელი თამაშების მოგება სჭირდება.

მატჩის დასაწყისი თითქოს ცუდს არაფერს უქადდა სტუმრებს. თავიდან ინიციატივასაც ისინი დაეუფლნენ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში. მალე გამოჩნდა „ბორდოს“ ყოფილი და ამჟამად „მარსელის“ მწვრთნელის როლან კურბისის ტაქტიკური შეცდომა. მან, ალბათ, მეტოქისთვის



მონაკო — პსჟ 2:1. პარიზელი სისეს გოლმა ლეფევრის მონაკოს მოაგებინა

REUTERS მონაკოდან

თავგზის ასაბნევად გალასი და ლუქსენი განაპირა მცველებად დააყენა. არადა, პირველს ცენტრში თამაში უფრო ეხერხება, მეორეს კი საყრდენ ნახევარმცველად. მოწინააღმდეგემაც მალე აუღო ალღო კურბისის ტაქტიკურ „სიახლეს“ და შეტევებიც ძირითადად ფლანგებიდან წარმართა.

პირველი გოლი გრენეს მიერ მარჯვნიდან წამოწყებულ იერიშს მოჰყვა. მის ჩაწოდებაზე ლასლანდმა ეფექტური და ლამაზი პასით უყურადღებოდ დარჩენილი ვილტორდი მოძებნა. „ლესკიურზე“ შეკრებილმა 33 ათასმა ქომაგმა ერთხმად იხუვლა. სულ მალე ლასლანდმა თავით მიკუს მიაწოდა, თვითონ კი მარცხნივ გაიჭრა და მეტოქის ლამის მთელი დაცვაც თან გაიყოლა. მიკუმაც იოლად აჯობა პორატოს და სტადიონზე მყოფი რამდენიმე ასეული მარსელელი დადუმდა. სამ წუთში კი მათ საყვარელ გუნდს მესამე გოლიც გაუტანეს. ვილტორდმა მარჯვნივ შეუტია (თუმცა კი ნამდვილად თამაშგარეში იყო) და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ლასლანდმა მშვიდად დააგვირგვინა თავისიანების იერიში.

ექვს წუთში სამი გოლი. „მარსელი“ „მარსელს“ აღარ ჰგავს. ბლანი უაზროდ დარბის. დიუგარი აგრესიული ხდება. გუნდური თამაში მოიშალა. ამას კი მეოთხე გოლი მოჰყვა. ბენარბიას ჩაწოდებულზე დომორო დამწყები ფეხბურთელივით დაიბნა და იქვე მყოფმა ვილტორდმაც მოწინააღმდეგის შეცდომით იხეირა.

ამის მერეღა მიხვდა კურბისი თავის შეცდომას და ლუქსენის მაგივრად ჟამბეი გამოიყვანა, მალე კი წინა ხაზის გასაძლიერებლად რუა კამარათი შეცვალა. 59-ე წუთზე დიუგარიმ თავისი მშობლიური ქალაქის გუნდს ერთი გოლი გაუტანა და „მარსელი“ ასე თუ ისე სირცხვილისგან იხსნა. თუმცა „ბორდოს“ კიდევ შეეძლო მოწინაამდეგის კარის დალაშქვრა. ყველაზე მეტად ბენარბია აქტიურობდა. ექსმონაკოელს ყველაფერი გამოსდიოდა. ერთი-ორი ისეთი ლამაზი შეტევა განახორციელა, რავანელი კინაღამ ცხარე ცრემლით ატირა, რატომ ჩემთან ერთად არ თამაშობსო.

სტადიონი კი მღეროდა და ცეკვავდა. 82-ე წუთზე ვილტორდის შემცვლელ ივანს, რომელიც ესპანური „ბეტისიდან“ გადავიდა „ბორდოში“, ხალხი სულ „ოლა, ოლას“ ძახილით შეხვდა. მათ უკვე სჯერათ, რომ ოქროს მედლები შორს აღარაა.

„ვერაფერს ვიტყვი. „ბორდომ“ ჩვენზე გაცილებით უკეთ ითამაშა. თუმცა ამ მარცხის გამო ყურებს არ ჩამოვყრით და ჩემპიონობისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — თქვა მატჩის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა რობერ პირესმა. „ჩვენი მიზანი სამი ქულის აღება იყო და მოვახერხეთ კიდეც. კარგ შედეგთან ერთად კარგი ფეხბურთიც ვაჩვენეთ და გულშემატკივარიც ძლიერ გავახარეთ. სეზონის ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ასეთივე შემართებით უნდა გავაგრძელოთ თამაში. მომავალ ტურში „რენს“ ვსტუმრობთ და იქაც მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებთ“ — თუ იოან მიკუს „ბორდომ“ მართლა ასე ითამაშა, მასთან პაექრობა „რენს“ ძალიან გაუჭირდება.

მესამე ადგილზე მყოფმა ბრეტონელებმა კი 22-ე ტურში „ბასტიას“ სტუმრად სძლიეს 1:0. მე-17 წუთზე კორსიკელები ცხრანი დარჩნენ თერთმეტი რენელის წინააღმდეგ. „მსაჯი ნაღდად მოსყიდული იყო“ — აღშფოთებას ვერ მალავდა მასპინძლების თავკაცი ლორან ფურნიე. თუმცა შეხვედრის არბიტრმა მხოლოდ თავისი საქმე გააკეთა, ჯერ ვალერის უჩვენა მეორე ყვითელი ბარათი სისესთან აშკარა უხეშობისთვის, სამ წუთში კი „ბასტიას“ მეკარე დიურანს ლანძღვა-გინება არ აპატია. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, „რენს“ თითქმის ერთი საათი დასჭირდა გამარჯვების გოლის გასატანად — ბინის გრძელი პასის შემდეგ ნონდამ იმარჯვა. „ფურიანიზე“ სამი ქულის მოპოვება ძალიან ძნელი და სასახელო საქმეა“ — თქვა სტუმართა კარის დარაჯმა კრისტოფ რევომ. მართლაც, „რენამდე“ ეს მხოლოდ „მარსელმა“ შეძლო.

საფრანგეთის ჩემპიონი „ლანსი“ შარშანდელივით ძლიერი ვეღარაა, მაგრამ შინ „ლიონთან“ 0:3 თუ წააგებდა, ვერავინ იფიქრებდა. სტუმრებმა თავიდანვე შეუტიეს და მეტად აქტიური [illegible] ფორასოს წყალობით მათმა კაპიტანმა ალენ კავეგლიამ მე-20 წუთზე ანგარიშიც გახსნა. კავეგლიამ დანარჩენ ორ გოლშიც დაიდო წილი — მე-40 წუთზე მისი მოწოდებული კუთხურის მერე ჯობმა თავურით გაიტანა, 66-ე წუთზე კი კაპიტანმა კვლავ ჯობს მიაწოდა ჩინებული პასი და მანაც მესამედ დაამწუხრა გიიომ ვარმუზი.

მორიგი, მეცხრე მარცხი იწვნია დედაქალაქის „პარი სენ ჟერმენმა“, ამჯერად მონაკოში. პარიზელების საქმე სულ უკან-უკან მიდის და შეიძლება... თუმცა პსჟ, ალბათ, მაინც არ გავარდება. პირველი გოლი დიავარას მარცხენა ფლანგზე განავარდებას მოჰყვა — მისი ჩაწოდებული ბურთი ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ სტუმართა კარში გაგზავნა. პირველი ტაიმის შუაგულში ბრუნო როდრიგესმა მშვენიერი დარტყმით ანგარიში გაქვითა. ეს გოლი პსჟ-სთვის ჩემპიონატის მატჩებში 20 ნოემბრის მერე პირველი იყო, თუ, რა თქმა უნდა, პსჟ — ნანსი შეხვედრის 90-ე წუთზე ნანსელი ფიშერის მიერ საკუთარ კარში გატანილს არ ჩავთვლით (მაშინ გამარჯვება „ნანსს“ დარჩა 2:1). მეორე ტაიმის ბოლოს „ლანსიდან“ გადასულმა ელუამ, რომელიც „მონაკოს“ მაისურით პირველად თამაშობდა, ჯარიმა დაარტყა. ბურთი ელუასავით დებიუტანტ სისეს თავში მოხვდა და ლამაც უძლური იყო, რაიმე ელონა.

### გაიოეზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 22 | 15 | 3 | 4 | 48:19 | 48 |
| მარსელი | 22 | 14 | 6 | 2 | 39:18 | 48 |
| რენი | 22 | 10 | 6 | 6 | 27:25 | 36 |
| ლიონი | 21 | 9 | 8 | 4 | 29:19 | 35 |
| ნანტი | 22 | 9 | 8 | 5 | 30:23 | 35 |
| მონაკო | 21 | 9 | 5 | 7 | 30:21 | 32 |
| მონპელიე | 22 | 9 | 4 | 9 | 39:35 | 31 |
| ოსერი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:26 | 31 |
| ბასტია | 22 | 9 | 3 | 10 | 27:26 | 30 |
| ლანსი | 22 | 8 | 5 | 9 | 29:29 | 29 |
| პსჟ | 22 | 6 | 7 | 9 | 20:21 | 25 |
| მეცი | 22 | 6 | 7 | 9 | 19:29 | 25 |
| სტრასბური | 22 | 5 | 9 | 8 | 17:23 | 24 |
| ნანსი | 22 | 6 | 6 | 10 | 20:28 | 24 |
| ლე ავრი | 22 | 5 | 7 | 10 | 16:27 | 22 |
| ლორიანი | 22 | 4 | 8 | 10 | 18:33 | 20 |
| ტულუზი | 22 | 3 | 9 | 10 | 15:33 | 18 |
| სოშო | 20 | 3 | 8 | 9 | 17:35 | 17 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლასლანდი (ბორდო) | 14 |
| ვილტორდი (ბორდო) | 14 |
| მორისი (მარსელი) | 11 |
| ნონდა (რენი) | 10 |
| ანდრე (ბასტია) | 9 |
| ნე (ბასტია) | 9 |
| ტრეზეგე (მონაკო) | 9 |

## ბელგია

XXII ტური

**ბევერენი 1:3 ლიერსი**

0:1, 0:2 ჰუისმანსი (29, 42), 1:2 ტორკენი (79), 1:3 ზდებელი (81)

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოფკენსი, ვან მეირი, ჰოორტერსი, ლეენი, ლარემანსი, ზდებელი, კავენსი, ჰუისტრა (სერნეელსი 80), ჰუისმანსი (ჰუისეგემსი 80)

**კორტრაიკი 1:3 სტანდარდი**

სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, ბილიჩი, ბლეი, ერნსტი, რემაკლი, გოდფრუა, დე კონდე, ლუკუნკუ (ფასოტი 70), ემილ მპენზა, ფოლია (მბო მპენზა 76)

0:1 ბილიჩი (7), 0:2 დე კონდე (27), 0:3 ე. მპენზა (77), 1:3 პრუნიე (78)

**ბრიუგე 2:0 ანდერლეხტი**

1:0, 2:0 დე ბრიული (68, 88)

**მუსკრონი 5:1 ლოკერენი**

0:1 კოლერი (29), 1:1, 2:1 ვადოვიჩი (37, 54პ), 3:1 ტანგე (64), 4:1 კასტო (84), 5:1 ელ იდრისი (89)

**გენკი 1:0 გენტი**

1:0 ორიჯი (90)

**ეკერენი 1:0 ლომელი**

1:0 მორიე (35)

**სენ ტრუიდენი 2:0 აალსტი**

1:0 ვრანკენი (17), 2:0 ფიერსი (75)

**შარლერუა 1:1 ოსტენდე**

1:0 ვუიოტი (23), 1:1 ედმილსონი (49)

**ვესტერლო 0:3 ჰარელბეკი**

0:1 ფრანკენი (57ს.კ.), 0:2 ბოდრი (80), 0:3 ანსა (88)

რატომაა „გენკი“ ბელგიის პირველობის ლიდერი? იმიტომ, რომ „გენტთან“ შეხვედრის დროს, შესვენებაზე მისმა ფეხბურთელებმა ბუცები გამოიცვალეს და მოედანზე გაბრუნებულებმა სულ ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანეს.

„გენტმა“ ლიდერს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მაინც ვერ გაძლო, მაინც გამოხდა წამი, როდესაც მაიკლ ოკოთ ორიჯიმ ზუსტად დაარტყა და სტუმრებს მოყინულ მინდორზე გაწეული შრომა წყალში ჩაუყარა.

აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმის შუაში „გენკს“ ნგოი ნუსუმბა გაუძევეს მოედნიდან, მაგრამ ძლიერმა ათი კაცითაც გაიმარჯვა.

„ბრიუგემ“ კი „ანდერლეხტს“ შეალია დიდი ძალები. ყოფილ ლიდერს დაუფასდა კიდეც. 2:0 მოიგო, თუმცა დიდი შარის ფასად. მეორე ტაიმის დროს „ანდერლეხტის“ ჭკუათხელმა გულშემატკივრებმა 10 წუთით ჩაშალეს შეხვედრა. ისინი ტრიბუნაზე სკამებს ამტვრევდნენ და ფეხბურთელებს ესროდნენ. როგორც მეორე დღეს ჩატარებულმა ანგარიშმა აჩვენა: „ბრიუგეს“ სტადიონს 282 ათასი დოლარის ზარალი უნახავს. ქალაქის მერმა განაცხადა „ანდერლეხტის“ გულშემატკივრებს მეორედ სტადიონზე აღარ შევუშვებო. საქმე ის არის, რომ „იან ბრეიდელის“ სტადიონი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ სულ ახლახანს მოკაზმეს და გაარემონტეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 22 | 14 | 5 | 3 | 49:25 | 47 |
| ბრიუგე | 22 | 14 | 4 | 4 | 40:22 | 46 |
| მუსკრონი | 22 | 11 | 7 | 4 | 50:34 | 40 |
| ლოკერენი | 22 | 11 | 4 | 7 | 46:35 | 37 |
| გენტი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:37 | 37 |
| სტანდარდი | 22 | 11 | 2 | 9 | 36:27 | 35 |
| ანდერლეხტი | 21 | 10 | 5 | 6 | 39:32 | 35 |
| ეკერენი | 22 | 10 | 4 | 8 | 36:32 | 34 |
| ლიერსი | 22 | 10 | 3 | 9 | 42:35 | 33 |
| სტ. ტრუიდენი | 21 | 9 | 6 | 6 | 30:24 | 33 |
| ვესტერლო | 22 | 9 | 3 | 10 | 43:40 | 30 |
| აალსტი | 22 | 7 | 5 | 10 | 30:39 | 26 |
| ჰარელბეკი | 22 | 6 | 8 | 8 | 29:34 | 26 |
| შარლერუა | 21 | 4 | 9 | 8 | 27:32 | 21 |
| ლომელი | 22 | 5 | 4 | 13 | 23:35 | 19 |
| ბევერენი | 21 | 4 | 4 | 13 | 23:39 | 16 |
| კორტრაიკი | 22 | 3 | 5 | 14 | 31:56 | 14 |
| ოსტენდე | 22 | 2 | 7 | 13 | 20:52 | 13 |

## თურქეთი

მე-18 ტური: ერზურუმი — გენჩლერბირლიგი 2:2; გაზიანთეფი — ტრაბზონი 1:1; ანთალია — საქარია 2:2; ქარაბუქი — ბურსა 1:0; ისთანბული — ადანა 6:0; ალთაი — გალათასარაი 0:2; ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში 0:1; ქოჯაელი — სამსუნი 1:0; ფენერბაჩე — დარდანელი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჩე | 18 | 13 | 2 | 3 | 47:13 | 41 |
| ბეშიქთაში | 18 | 12 | 5 | 1 | 33:13 | 41 |
| გალათასარაი | 18 | 12 | 4 | 2 | 49:19 | 40 |
| ტრაბზონი | 18 | 11 | 4 | 3 | 29:17 | 37 |
| ანთალია | 18 | 9 | 4 | 5 | 25:19 | 31 |
| ქოჯაელი | 18 | 9 | 4 | 5 | 22:19 | 31 |
| ისთანბული | 18 | 8 | 4 | 6 | 31:23 | 28 |
| გენჩლერბირ. | 18 | 7 | 6 | 5 | 27:23 | 27 |
| გაზიანთეფი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:24 | 24 |
| ბურსა | 18 | 7 | 3 | 8 | 31:35 | 24 |
| სამსუნი | 18 | 6 | 3 | 9 | 22:33 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 6 | 2 | 10 | 21:25 | 20 |
| ალთაი | 18 | 5 | 3 | 10 | 23:34 | 18 |
| ერზურუმი | 18 | 4 | 6 | 8 | 20:40 | 18 |
| ადანა | 18 | 5 | 2 | 11 | 17:31 | 17 |
| საქარია | 18 | 2 | 5 | 11 | 15:30 | 11 |
| ქარაბუქი | 18 | 3 | 2 | 13 | 14:34 | 11 |
| დარდანელი | 18 | 1 | 7 | 10 | 9:27 | 10 |

## საბერძნეთი

მე-17 ტური: აეკი — ოლიმპიაკოსი 2:0; იონიკოსი — ეთნიკოსი (ასტირი) 5:0; აპოლონი — ქსანტი 2:1; პანელეფსინიაკოსი — ირაკლისი 0:1; კავალა — პანილიაკოსი 1:1; ვერია — ეთნიკოსი (პირეოსი) 4:3; პანათინაიკოსი — ოფი 1:0; პანიონისი — პაოკი 0:1; არისი — პრუდეფტიკი წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 17 | 13 | 1 | 3 | 45:14 | 40 |
| პანათინაიკოსი | 17 | 12 | 1 | 4 | 33:19 | 37 |
| აეკი | 17 | 11 | 3 | 3 | 37:15 | 36 |
| პაოკი | 17 | 11 | 2 | 4 | 27:17 | 35 |
| ქსანტი | 17 | 9 | 4 | 4 | 20:15 | 31 |
| არისი | 16 | 8 | 3 | 5 | 22:22 | 27 |
| ოფი | 17 | 8 | 2 | 7 | 24:20 | 26 |
| იონიკოსი | 17 | 7 | 4 | 6 | 30:19 | 25 |
| ირაკლისი | 17 | 6 | 6 | 5 | 25:17 | 24 |
| ეთნიკოსი (ა) | 17 | 7 | 2 | 8 | 22:29 | 23 |
| პანილიაკოსი | 17 | 6 | 3 | 8 | 23:26 | 21 |
| კავალა | 17 | 5 | 6 | 6 | 27:37 | 21 |
| პანიონისი | 17 | 6 | 2 | 8 | 29:26 | 20 |
| პანელეფსინი. | 17 | 2 | 9 | 6 | 13:21 | 15 |
| პრუდეფტიკი | 16 | 3 | 5 | 8 | 15:22 | 14 |
| აპოლონი | 17 | 3 | 4 | 10 | 21:43 | 13 |
| ვერია | 17 | 2 | 4 | 11 | 10:27 | 10 |
| ეთნიკოსი (პ) | 17 | 0 | 5 | 12 | 9:43 | 5 |

## ამხანაგური მატჩი | 2 თებერვალი. ბელგია - ჩეხეთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალი ბელგიის ნაკრები (ბელგიელები ჰოლანდიასთან ერთად მასპინძლობენ ტურნირს) ამხანაგურ მატჩში დღეს კონტინენტის ბოლო ჩემპიონატის ფინალისტს ჩეხეთს უმასპინძლებს. სტუმართა რიგებში შესაძლოა პირველად ითამაშოს ბელგიის „ლოკერენის" საუკეთესო თავდამსხმელმა იან კოლერმა.

მეკარეები — რადეკ ჩერნი (სლავია), პაველ სრნიჩეკი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი); მცველები — მიხალ ჰორნაკი (სპარტა), კარელ რადა, პეტრ ვლაჩეკი (სლავია), იან სუხოპარეკი (სტრასბური, საფრანგეთი); ნახევარმცველები — მიროსლავ ბარანეკი, მარტინ ჰაშეკი, პაველ ნოვოტნი (სპარტა), პატრიკ ბერგერი (ლივერპული, ინგლისი), ტომაშ გალაშეკი (ტილბურგი, ჰოლანდია), ირჟი ნემეცი (შალკე, გერმანია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), რადეკ სლონჩიკი (ბანიკი), რომან ვონაშეკი (ლოკერენი, ბელგია); თავდამსხმელები — იან კოლერი (ლოკერენი, ბელგია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), რობერტ ვაგნერი (სლავია)

## პორტუგალია

XX ტური

**ამადორა 2:1 შავეში**

1:0 ჟილბერტო (18), 1:1 ვანდერლეი (63), 2:1 ლუისი (81)

**მარიტიმუ 3:0 ბრაგა**

1:0 ბუნბურუ (55პ), 2:0 ბრუნო ფერნანდეში (71), 3:0 ეუსებიო სოუზა (90)

**სპორტინგი 5:0 აკადემიკა**

1:0 სევერო (22), 2:0 ედმილსონი (28), 3:0 საბროზა (57), 4:0, 5:0 აკოსტა (61, 67)

**ალვერკა 2:0 უნიაუ**

1:0 დინდა სანტოში (46), 2:0 ბაკერო მარტინსი (67)

**ფარენსე 0:3 პორტუ**

0:1 რუი ბაროში (15), 0:2 მენდესი (88), 0:3 ზაჰოვიჩი (90)

**რიუ ავე 1:1 სეტუბალი**

1:0 ანდრე ლუისი (60), 1:1 ნანდო (66)

**ბოავიშტა 2:1 კამპომაიორენსე**

1:0 კვამე (37), 1:1 ალმეიდა (70), 2:1 ტიმოფტე (90)

**ბეირა მარი 1:1 ბენფიკა**

1:0 ჟილა ნასკიმენტო (47), 1:1 ტაპარი (56)

**გიმარაეში — სალგეირუში**

*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 14 | 4 | 2 | 49:17 | 46 |
| ბოავიშტა | 20 | 13 | 5 | 2 | 35:17 | 44 |
| ბენფიკა | 20 | 13 | 4 | 3 | 42:14 | 43 |
| სპორტინგი | 20 | 10 | 7 | 3 | 39:18 | 37 |
| ამადორა | 20 | 9 | 6 | 5 | 23:21 | 33 |
| უნიაუ | 20 | 9 | 4 | 7 | 21:16 | 31 |
| სალგეირუში | 19 | 6 | 8 | 5 | 28:28 | 26 |
| სეტუბალი | 20 | 7 | 5 | 8 | 18:25 | 26 |
| გიმარაეში | 19 | 6 | 5 | 8 | 26:21 | 23 |
| მარიტიმუ | 20 | 5 | 7 | 8 | 24:25 | 22 |
| ბრაგა | 20 | 5 | 7 | 8 | 26:38 | 22 |
| ფარენსე | 20 | 6 | 4 | 10 | 16:28 | 22 |
| ბეირა მარი | 20 | 4 | 9 | 7 | 19:28 | 21 |
| რიუ ავე | 20 | 5 | 6 | 9 | 17:30 | 21 |
| ალვერკა | 20 | 4 | 8 | 8 | 17:27 | 20 |
| შავეში | 20 | 5 | 4 | 11 | 23:37 | 19 |
| კამპომაიორენსე | 20 | 5 | 3 | 12 | 22:35 | 18 |
| აკადემიკა | 20 | 3 | 4 | 13 | 20:40 | 13 |

## ბრაზილია

III ტური

**რიო — სან პაულუს ტურნირი**

I ჯგუფი

**ფლუმინენსე 0:2 სანტოსი**

**პალმეირასი 1:5 ვასკუ და გამა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვასკუ და გამა | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| სანტოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ფლუმინენსე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| პალმეირასი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |

II ჯგუფი

**სან პაულუ 2:0 ბოტაფოგო**

**ფლამენგო 2:0 კორინთიანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ბოტაფოგო | 3 | 1 | 1 | 1 | 10:7 | 4 |
| ფლამენგო | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| კორინთიანსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

**პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი**

I ჯგუფი

**იტუანო 1:3 პორტუგეზა**

**რიო ბრანკო 2:1 სან ჟოზე**

**ბარბარენსე 1:0 ლიმეირა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგეზა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| რიო ბრანკო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ბარბარენსე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ლიმეირა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| იტუანო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| სან ჟოზე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

II ჯგუფი

**გუარანი 1:1 არაკატუბა**

**უნიაო 2:3 მატონენსე**

**სანტისტა 2:3 მოგი მირიმი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მატონენსე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| არაკატუბა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| უნიაო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| მოგი მირიმი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| გუარანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სანტისტა | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |

## შოტლანდია

XXIII ტური

**სელტიკი 5:0 სტ. ჯონსტონი**

1:0 ბრატბაკი (6), 2:0 მორავჩიკი (18), 3:0 ლარსონი (30), 4:0, 5:0 ბრატბაკი (75, 77)

**აბერდინი 2:4 რეინჯერსი**

0:1 პორინი (10), 0:2 უოლესი (11), 1:2 ნიუელი (34), 2:2 ჯესი (50), 2:3 ალბერცი (86პ), 2:4 კანჩელსკისი (90)

**დანდი იუნ. 1:1 დანფერმლაინი**

1:0 ოლოფსონი (33), 1:1 სმიტი (46)

**ჰართსი 0:2 მოზერველი**

0:1 მაკკალოჩი (48), 0:2 ადამსი (71)

**კილმარნოკი 0:0 დანდი**

ნორვეგიელი თავდამსხმელი ჰარალდ ბრატბაკი სამი თვის განმავლობაში „სელტიკის" სათადარიგოთა სკამზე იმყოფებოდა, ფორმაში არ იყო. და აი, ზამთრის შესვენების შემდეგ იგი ძირითადში მოხვდა და შოტლანდიელმა ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

„სენტ ჯონსტონს" მატჩის დასაწყისში სწორედ მან გაუტანა პირველი გოლი. მერე სლოვაკმა გამთამაშებელმა ლუბომირ მორავჩიკმა გამოიჩინა თავი და შორეული დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. შეხვედრის ბედი საბოლოოდ 15 გატანილი ბურთით ჩემპიონატის ბომბარდირმა ჰენრიკ ლარსონმა გადაწყვიტა (ეს შვედის 21-ე გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში), რომლის თავურიც თამაშის დაწყებიდან ზუსტად ნახევარ საათში უნაკლო გამოდგა. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარში მოედანზე მხოლოდ ერთი კაცი — ზემოხსენებული ბრატბაკი ბატონობდა. მან მეტოქის მცველებს ნერვებიც უშალა, ჰეთ-ტრიქიც შეასრულა, სეზონში 7 გოლი დააგროვა და სტადიონზე მისულ 60 092 ფანის ოვაციებიც დაიმსახურა.

მეორე გლაზგოური კლუბი, ჩემპიონატის ლიდერი „რეინჯერსი" აბერდინს ეწვია და საკმაოდ ძნელი გამარჯვება მოიპოვა. არადა, თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო — ერთ წუთში ჯერ სერჯო პორინიმ გაიტანა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ჯარიმიდან მოწოდებულის შემდეგ, მერე კი ნილ მაკკენის პასი ინგლისელმა ზანგმა როდ უოლესმა შეიშნო და სეზონში მე-20 გოლიც მიითვალა.

თუმცა გლაზგოელები მიღწეულით დროზე ადრე დაკმაყოფილდნენ და მეორე ტაიმის დაწყებიდან 5 წუთში ტაბლოზე უკვე ორი ორიანი მოჩანდა.

— 2:0 რომ წავიყვანეთ, თავში აგვივარდა. კიდევ კარგი, სკოტ უილსონი გაგვიგდეს. ამის მერე ძალები მოვიკრიბეთ და ყველამ თავისი საქმის კეთება დაიწყო. ერთი სიტყვით, კაცნაკლულებმა უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე სრული შემადგენლობით — ამბობდა მატჩის შემდეგ სტუმართა გამოცდილი თავკაცი, ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი და მართალიც იყო — უილსონის გაძევება (მეორე ყვითელი მიიღო) „რეინჯერსს" ერთობ წაადგა. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა „აბერდინის" მცველებმა საკუთარ საჯარიმოში რუსი ანდრეი კანჩელსკისი წააქციეს და გერმანელმა იორგ ალბერცმა პენალტი ტრადიციულად კარგად შეასრულა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ექსფიორენტინელის გატანილი მეოთხე გოლი უკვე სრული ფორმალობა იყო.

**ნოდარ ძასრაძე**



REUTERS

სელტიკი — სტ. ჯონსტონი 5:0. ჰენრიკ ლარსონმა მეტოქის კარში ამჯერადაც გაიტანა გოლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 23 | 15 | 5 | 3 | 47:21 | 50 |
| კილმარნოკი | 22 | 11 | 8 | 3 | 30:12 | 41 |
| სელტიკი | 22 | 10 | 7 | 5 | 49:22 | 37 |
| სტ. ჯონსტონი | 23 | 8 | 9 | 6 | 28:33 | 33 |
| მოზერველი | 23 | 7 | 8 | 8 | 23:29 | 29 |
| ჰართსი | 23 | 6 | 6 | 11 | 22:31 | 24 |
| აბერდინი | 23 | 6 | 6 | 11 | 25:39 | 24 |
| დანდი | 23 | 6 | 6 | 11 | 20:36 | 24 |
| დანდი იუნ. | 23 | 5 | 8 | 10 | 23:28 | 23 |
| დანფერმლაინი | 23 | 2 | 13 | 8 | 18:34 | 19 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 15 |
| უოლესი (რეინჯერსი) | 14 |
| ჯესი (აბერდინი) | 12 |


# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.** გადადებული მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 თებერვალი | | | |
| მანჩესტერი — დერბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ინგლისის თასის IV ეტაპი.** გადათამაშება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 თებერვალი | | | |
| ტოტენჰემი — უიმბლდონი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 3 თებერვალი | | | |
| ჰადერსფილდი — რექსჰემი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ჩელსი — ოქსფორდი | 1,05 | 8,0 | 14,0 |

**ესპანეთის თასის მერვედფინალი.** საპასუხო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 თებერვალი | | | |
| დეპორტივო — სელტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ატლეტიკო — სოსიედადი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ბარსელონა — ბენიდორმი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ვალენსია — ლევანტე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ვილიარეალი — რეალი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ვალიადოლიდი — ესპანიოლი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რასინგი — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მალიორკა — ბეტისი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**საფრანგეთის ლიგის თასის მერვედფინალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 თებერვალი | | | |
| ლე ავრი — ლანსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სოშო — ნანსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 3 თებერვალი | | | |
| შატორუ (II) — მონპელიე | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ამიენი (II) — ოსერი | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| მეცი — ლუანი (III) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ნიცა (II) — ტულუზი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რენი — ტრუა (II) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ჰოლანდიის თასის მერვედფინალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 თებერვალი | | | |
| ვიტესი — ბრედა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ტვენტე — სიტარდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ეინდჰოვენი — ალკმაარი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ემენი (II) — კამბური | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 4 თებერვალი | | | |
| უტრეხტი — ფეიენოორდი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| როდა — აიაქსი | 3,8 | 3,1 | 1,8 |

**თურქეთის თასის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 თებერვალი | | | |
| ბეშიქთაში — ქოჯაელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 3 თებერვალი | | | |
| ანკარაგიუჯიუ — გაზიანთეფი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| საქარია — ერზურუმი (15[00]) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| გალათასარაი — ისთანბული | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ამხანაგური მატჩი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 თებერვალი | | | |
| ბელგია — ჩეხეთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 თებერვალი | | | |
| ბოსტონი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| პიტსბურგი — ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ტამპა ბეი — ტორონტო | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| ფინიქსი — კალგარი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| 3 თებერვალი | | | |
| ბუფალო — კოლორადო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| მონრეალი — ვანკუვერი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვაშინგტონი — ტამპა ბეი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| კაროლინა — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფლორიდა — ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| დეტროიტი — აილენდერსი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| ედმონტონი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — ჩიკაგო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 4 თებერვალი | | | |
| ბოსტონი — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| რეინჯერსი — ვანკუვერი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ფილადელფია — მონრეალი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| სენტ ლუისი — ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| კალგარი — ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფინიქსი — სან ხოსე | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| ლოს ანჯელესი — ჩიკაგო | 1,7 | 4,4 | 2,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

1 თებერვალი თბილისი ვერის ბაღი **12 ტური**

**კოლხა 83:92 დინამო**

I ტაიმი 38:48

კოლხა: ბ. ბერიშვილი (8), კვაჭაძე (15), ბერია (5), ვ. ქვილითაია (23), უგრეხელიძე (7); ბ. ქვილითაია (4), თოდუა, ძიძიგური (2), კეიდია (19)

დინამო: ნიკოლაძე (6), ხოშტარია (20), ხეცურიანი (13), ვ. აბულაძე (8), კილაძე (18); ახოიაშვილი, ნიკლაური (12), ახვლედიანი (4), სანიკიძე (4), ნინიაშვილი (7)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: როლანდ ხომერიკი

# უნიათო: დასაწყისი, გაგრძელება, დასასრული



კოლხა — დინამო. გარღვევაზეა დინამოელი ირაკლი ხოშტარია

ვინც გუშინ ამ გუნდების შეხვედრას ვერ დაესწრო, ბევრიც არაფერი დაუკარგავს. თამაში თავიდანვე უნიათოდ დაიწყო, ასევე გაგრძელდა და ისე დამთავრდა, როგორც მოსალოდნელი იყო. „დინამომ“ მეორე წრეში ზედიზედ მესამედ მოიგო, ორი ქულა შეიმატა და სატურნირო ცხრილში პოზიციებიც გაიმყარა. „კოლხა“ კი ამჯერადაც დამარცხდა...

ძნელია მატჩზე მსჯელობა, როცა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანიც კი არაფერი მომხდარა. ერთმანეთის პირისპირ ორი ახალგაზრდული კლუბი იდგა, რომელთაც ვერანაირი ტაქტიკური განსწავლულობა ვერ შევნიშნეთ და ვერც გამარჯვებისადმი სწრაფვით დაამახსოვრეს თავი მაყურებელს.

თავიდანვე „დინამომ“ იძალა და ხოშტარიას სიზუსტით დაწინაურდა კიდეც. ამას ნიკოლაძის გარღვევაც დაერთო, ისევ ხოშტარიას მცდელობა და „დინამო“ წინ გაიჭრა 8:1. „კოლხამ“ სიტუაციის გამოსწორება სცადა და დავით უგრეხელიძის პასებით მომარაგება იწყო, რომლის წინააღმდეგაც მეტოქე გუნდის ცენტრები ხშირად ჯარიმდებოდნენ. საერთოდაც კალათბურთელები უხეშად თამაშობდნენ. ამის გამო მოწინააღმდეგეებს ნაადრევი შვიდი გუნდური ჯარიმა დაუგროვდათ, თამაში ხშირად ჩერდებოდა, რამაც სანახაობრივი მხარე მთლიანად წაახდინა და მეტოქეები ზუსტი საჯარიმოებითღა აგროვებდნენ ქულებს.

მაყურებელი ერთადერთხელ გამოცოცხლდა, როცა თამაშში ხელმეორედ ჩართულმა ვახტანგ ქვილითაიამ ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა და სხვაობა საკმაოდ შეამცირა — 34:30. „დინამომ“ საფრთხე იყნოსა და ტაიმის ბოლოს მთელი ძალით შეუტია. კოლხებმა ელემენტარულ შეცდომებს უხშირეს და ტაიმი ათი ქულით დათმეს — 38:48.

განახლდა შეხვედრა და გუნდების უგერგილობაც. ორჯერ ხოშტარიამ და ერთხელ აბულაძემ სხვაობა ჩვიდმეტ ქულამდე გაზარდეს. ამასობაში „კოლხამ“ ოპტიმალურ ხუთეულს მიაგნო და ქვილითაიას და ბერიას ძალისხმევით სხვაობის შემცირება იწყო, მაგრამ უკვე გვიან იყო. სტუდენტებმა მხოლოდ სხვაობის ხუთ ქულამდე შემცირება შეძლეს, რასაც ლევან მოსეშვილის წუთშესვენება მოჰყვა და „დინამოს“ გამოცოცხლებაც. შემდეგ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. დინამომ ათი ქულა „დაუჭირა“ მეტოქეს და ბოლომდე აღარ მიიკარა. ეს ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ ხუთი ჯარიმის გამო მიყოლებით დატოვეს მოედანი „კოლხას წამყვანმა კალათბურთელებმა — უგრეხელიძემ, ბერიშვილმა, ქვილითაიამ. უამათოდ დარჩენილმა კოლხებმა კი ბევრიც ვერაფერი შეძლეს.

**გიორგი ბიძაშვილი**

1 თებერვალი თბილისი ვერის ბაღი **12 ტური**

**შევარდენი 75:88 მაკაბი**

I ტაიმი 35:39

შევარდენი: კაზანჯიანი (15), გაგნიძე (16), მაჭავარიანი (15), მოისწრაფიშვილი (9), ღვინეფაძე (4); ხობელია (12), ოქრიაშვილი (4), მესხი, ნუცუბიძე

მაკაბი: ი. ბერიშვილი (12), ტალაბაძე (15), ლასარეიშვილი (8), დ. მჭედლიშვილი (13), ფერიაშვილი (30); ფიცხელაური (4), ხუხაშვილი (4), მ. მჭედლიშვილი (2)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: მურმან ქურიძე

# მაკაბიმ რევანში აიღო

პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა „შევარდენის“ გამარჯვებით დასრულდა და, რა თქმა უნდა, „მაკაბი“ მოედანზე რევანშის სურვილით გამოვიდა, თუმცა შესუსტებული შემადგენლობით. გუნდს წამყვანი მოთამაშეები — დავით ბერიშვილი და მალხაზ ანდღულაძე აკლდა. არ ჩანდა „მაკაბის“ უფროსი მწვრთნელი ვაჟა მხეიძე, რომელიც სირიაში მივლინებითაა და ჯერ არ დაბრუნებულა. ვერც მეორე მწვრთნელი ვიხილეთ, თამაშის გაძღოლა კი ტრავმირებულმა დავით ბერიშვილმა ითავა და ეს არცთუ ურიგოდ გამოუვიდა.

შეხვედრა „შევარდენის“ შეტევით დაიწყო და მატჩის პირველივე წუთზე გია კაზანჯიანმა სამქულიანით ანგარიში გახსნა. საპასუხოდ „მაკაბიმ“ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, ლასარეიშვილის კარგი თამაში და — 3:2. ალექსანდრე ფერიაშვილის გარჯის წყალობით „მაკაბიმ“ უპირატესობაც იგდო ხელთ. „შევარდენს“ შორეული სროლები არ წაუვიდა და ფარქვეშ შესვლებით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ აქაც წინააღმდეგობას წააწყდა. მეტოქე აშკარად უკეთ თამაშობდა დაცვაში და მე-5 წუთისთვის ბერიშვილმა „მაკაბი“ 7 ქულით დააწინაურა — 14:7.

„შევარდენმა“ თამაშში გარდატეხის შეტანა სცადა. გააქტიურდა გაგნიძე, მან ორი სამქულიანი ზუსტად შეასრულა და ანგარიშიც მინიმუმამდე შეამცირა. „მაკაბიმ“ კვლავ უხეიროდ შეუტია. ბურთს მაჭავარიანი დაეუფლა, ორი ქულაც მიითვალა და ერთი საჯარიმოც. წინ „შევარდენია“ 16:14. შეხვედრა დაიძაბა. „მაკაბის“ აშკარად დაეტყო მოთამაშეთა ნაკლებობა, მაგრამ გამოცდილმა დავით ტალაბაძემ მეტად საჭირო სამი ქულა ჩააგდო და „მაკაბი“ კვლავ დაწინაურდა. ამან გუნდს ფრთები შეასხა და ტაიმის შუაგულში ირაკლი ბერიშვილს გარღვევის შემდეგ 8 ქულით ჩამოიტოვა მეტოქე. ამის შემდეგ „შევარდენი“ მდევრის როლში აღმოჩნდა. ალექსანდრე ფერიაშვილი ლაღად თამაშობდა ფარქვეშ, „შევარდენი“ კი, როგორც ყოველთვის, შორეული სროლებით ცდილობდა მიზნის მიღწევას, მაგრამ ამაოდ.

ტაიმის მიწურულს შევარდნებმა მაინც შეძლეს 9-ქულიანი სხვაობის შემცირება. კვლავ შალვა გაგნიძემ ივარგა, სამქულიანი მოათავსა, შემდეგ ღვინეფაძემაც დაამატა და ანგარიშიც ოთხ ქულამდე დაიყვანა.

მატჩის მეორე ნახევარი კი მთლიანად „მაკაბის“ უპირატესობით წარიმართა. მწვრთნელს ამპლუაში მყოფმა დავით ბერიშვილმა მოედანზე გამოუცდელი კალათბურთელებიც გამოიყვანა. ლასარეიშვილმა, ხუხაშვილმა და ფიცხელაურმა თავისიანთი საქმე მშვენივრად შეასრულეს. „მაკაბის“ ყველაფერი გამოსდიოდა და 25-ე წუთზე თერთმეტქულიან უპირატესობასაც მიაღწია. შემდეგ „შევარდენმა“ პრესინგს მიმართა, მაგრამ გივი კოშკელოვის გუნდს ვერც ამ ტაქტიკამ უშველა. ირაკლი ბერიშვილს უპრობლემოდ გადაჰქონდა ბურთი მეტოქის ნახევარზე. მეორე ტაიმში კი „მაკაბის“ შემადგენლობაში საუკეთესო მათი ცენტრი, ალექსანდრე ფერიაშვილი იყო.

შეხვედრის 30-ე წუთზე ტალაბაძის სამქულიანის შემდეგ „მაკაბიმ“ 16 ქულით ჩამოიტოვა მეტოქე. „შევარდენი“ მარცხს არ ეგუებოდა და ყველა ბურთისათვის ბოლომდე იბრძოდა, რამაც შედეგი გამოიღო და მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში 8 ქულამდე შემცირდა — 80:71. „მაკაბი“ თავის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო და 30 წამის განმავლობაში დინჯად ათამაშებდა ბურთს. შეხვედრა გაიწელა, გახშირდა ჯარიმები, მაგრამ ამის გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, „მაკაბის“ გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. მატჩს კი წერტილი ახალგაზრდა ხუხაშვილმა დაუსვა. „მაკაბიმ“ რევანში აიღო.

**ზურაბ გონაშვილი**



შევარდენი — მაკაბი. ალექსანდრე ფერიაშვილის (მარჯვნივ) კარგმა თამაშმა „მაკაბის“ გამარჯვება განაპირობა

საქართველოს ჩემპიონატი **11 ტური**

# საუკეთესო მოთამაშე

## დავით თორთლაძე

-სდასუ-

გადამწყვეტ მომენტებში თორთლაძე წინ გაუძღვა თავისიანებს და დროული სამიანებით თუ უსწრაფესი გარღვევებით სდასუ-ს თსუ დაამარცხებინა



**— პირველ ტაიმში თამაში არ წაგივიდათ. მეტოქის დაცვა თქვენთვის ზედმიწევნით რთული გადასალახავი შეიქნა და ტაიმი აშკარად დათმეთ.**

— ვერ გეტყვი, რომ პირველი ნახევარი პირწმინდად წავაგეთ. საკმაოდ ხისტი ზონური დაცვის წინააღმდეგ გვიხდებოდა თამაში. მართალია, ამას საწინააღმდეგო ტაქტიკა დავუპირისპირეთ, მაგრამ სროლები არ წაგვივიდა. პირველი ბურთი მხოლოდ ოთხი წუთის შემდეგ ჩავაგდეთ.

გარდა ამისა, ბევრი დასანანი ჯარიმა მივიღეთ შეტევაში. ნაადრევი შვიდი გუნდური ჯარიმაც მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამდა წყალს.

**— მეორე ტაიმში მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. საწყისი წუთები 15:0 მოიგეთ და, ალბათ, გამარჯვებაც სწორედ მაშინ ირწმუნეთ.**

— ეს, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მომენტი იყო. თსუ ფსიქოლოგიურად დაითრგუნა, ჩვენ კი თავდაჯერება შეგვემატა. შეიძლებოდა მატჩის ბედი გაცილებით ადრეც გადაგვეწყვიტა, მაგრამ გიგაურმა სასწაულებრივად აცილა. მეც ხომ ორი საჭირო ჯარიმა გავაცუდე...

**— შენი და უძილაურის მოსვლის შემდეგ სდასუ-მ საგრძნობლად გამოასწორა თამაში. ფაქტიც სახეზეა — ხუთიდან ხუთი გამარჯვება, თანაც სტუ-ს ახლა თსუ-ც მიაყოლეთ. როგორ ფიქრობ, ეს თქვენი მაქსიმუმია?**

— ჩემი აზრით, დღესდღეობით ჩვენი მაქსიმუმი ოთხეულში მოხვედრაა. ეს საკმაოდ რეალურად მესახება, თუმცა, ბუნებრივია, უკეთესი შედეგისათვის ვიბრძოლებთ. შევეცდებით, ამისათვის ჩემპიონატის ხანგრძლივი შესვენებები გამოვიყენოთ, გუნდის თვითოეული რგოლი უკეთ დავაკომპლექტოთ და მოედანზეც გამარჯვებულის ფსიქოლოგიით წარვდგეთ.

**— დათო, ახლა ისიც გვითხარი, თურქეთიდან რატომ წამოხვედი. მგონი, იქ არცთუ ცუდი პირობები გქონდა...**

— პირობები მართლაც ნორმალური იყო, დონეც გაცილებით მაღალი, მაგრამ მარტოს ძალიან გამიჭირდა. ოჯახის ჩაყვანა კი ვერ შევძელი. შემდეგ სხვა გუნდი მპირდებოდა ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ მხოლოდ ერთი ბილეთი გამომიგზავნეს და მეც საბოლოოდ ამიცრუვდა გული.

**— გამოდის, რომ წასვლას აღარ აპირებ. თუ წახვალ, მხოლოდ ცოლ-შვილით.**

— სეზონის ბოლომდე საქართველოში დავრჩები. მერე კი ვნახოთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

31 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
11 ტური

## სდასუ 76:74 თსუ

I ტაიმი 31:40

სდასუ: თორთლაძე (21), უძილაური (18), ლ. აბულაძე, გიგაშვილი (8), მაჭარაძე (6), ხარაძე (4), გიგაური (13), ორჯონიკიძე (6), ქევხიშვილი

თსუ: ვეფხვაძე (5), წოწელია (31), დიმიტრიადი (10), მარკოიშვილი (14), ხელაშვილი (13), თაბუაშვილი, გ. არსიაშვილი (1), მშვილდაძე, ნინოშვილი

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: როლანდ ხომერიკი


სდასუ—თსუ. ეს მომენტი ნათლად ასახავს მატჩის დაძაბულობას

ზურაბ დოლიძეჯავახიშვილის ფოტო

ამ კლუბების პირველი წრის შეხვედრაში თსუ ადვილად გაუსწორდა მეტოქეს, მაგრამ ახლა სდასუ სულ სხვა გუნდია, რაც თავდაპირველად ახალწვეულების, თორთლაძე-უძილაურის ტანდემის შესაშური ქმედებით აიხსნება და როცა ამას სრულფასოვანი მზადებაც დაერთო, სდასუ ძალიან სახიფათო გუნდად ჩამოყალიბდა. ეს რომ ასეა, ამ გუნდმა წინა, მეათე ტურშიც დაამტკიცა, როდესაც გათამაშების მეორეადგილოსან სტუ-ს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება და მეტად საჭირო ორი ქულაც წაჰგვარა.

აი, თსუ კი მეორე წრეში აშკარად უფერულად გამოიყურება. ჯერ იყო და „მაკაბისთან" გაჭირვებით იმარჯვა და ახლაც პირველ ტაიმში დიდი შრომის ფასად მოპოვებული უპირატესობა ერთი ხელის მოსმით ქარს გაატანა. ამ წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზად გუნდიდან ნიკა ცქიტიშვილის წასვლა უნდა მივიჩნიოთ. მას შემდეგ, რაც ცქიტიშვილი თსუ-ს გაეყარა, ამ უკანასკნელთ ცენტრის პოზიციაზე გაუჭირდათ ძალიან, სადაც მართალია გამოცდილი არჩილ ხელაშვილი რიგიანად ირჯება, მაგრამ სდასუელთა ერთბაშად ოთხი ტანმაღალი მოთამაშის წინააღმდეგ მარტომ ბევრიც ვერაფერი გააწყო.

შეხვედრა თსუ-მ უკეთ დაიწყო. გონივრული ზონური დაცვით მეტოქეს სამოქმედო სივრცე შეუზღუდა, თავად კი შეტევებსაც მიეძალა და ვეფხვაძის, დიმიტრიადის, მარკოიშვილის გარღვევების შემდეგ დაწინაურდა კიდეც — 6:0. ამასობაში სდასუ-მ არაერთხელ სცადა მდგომარეობის გამოსწორება და აქცენტი შორეულ სროლებზე გადაიტანა, როცა ბურთის სწრაფი დატრიალების შემდეგ სასროლ პოზიციებზე რჩებოდნენ თორთლაძე და უძილაური. რამდენიმე ფუჭი მცდელობა და როგორც იქნა თორთლაძის სამიანმაც მიაღწია მიზანს. ამით ფრთაშესხმულმა უძილაურმა ერთ წუთში ორჯერ მოიმოქმედა იგივე და ახლა უკვე თსუ-ა მდევრი — 6:9.

წინ გასვლამ სდასუ მოადუნა, თსუ კი ძალიან მალე გამოერკვა, თამაში დაალაგა და მწყობრი შეტევები განავითარა, რომელსაც უმეტესად ხელაშვილი აგვირგვინებდა. ყოველივემ ნაყოფი გამოიღო და ტაიმის შუაწელისთვის თსუ ათი ქულით 22:12 დაწინაურდა. ამას უძილაურის ოთხი პერსონალურიც დაერთო და ქევხიშვილის ტექნიკური ჯარიმაც, რაც ოდისეი დიმიტრიადიმ ბოლომდე ვერ გამოიყენა — ოთხიდან მხოლოდ ორი ჩააგდო და ანგარიშია 33:20 თსუ-ს სასარგებლოდ. კანდელაკმა უძილაური ორჯონიკიძით შეცვალა და გაუმართლა კიდეც. ამან საჭირო სამიანი ჩააგდო, თანაგუნდელებს რამდენიმე პასიც გაუხერხა და ცამეტქულიანი ჩამორჩენა ტაიმის ბოლოს ცხრამდე შეამცირა.

საინტერესოა, რა უთხრა შესვენებაზე ნუგზარ კანდელაკმა შეგირდებს. განახლდა შეხვედრა და თითქოს სდასუ-ს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, ჯიქურ ეკვეთა მეტოქეს და ხუთწუთეული 15:0 მოუგო. ამაში ლომის წილი დავით თორთლაძემ დაიდო, რომელიც წინ გაუძღვა თავისიანებს და შესაშური სიზუსტით აწიოკებდა მოწინააღმდეგეთ. დათოს გიგაურმაც აუბა მხარი, შორეულ სამიანს სწრაფი გარღვევაც მიამატა და წინ სდასუ-ა 46:40. როგორც იქნა, თსუ-მ ნავსი გატეხა. ეს მარკოიშვილმა მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე მოახერხა და სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა, მაგრამ სდასუ-ს უკვე მყარად ეპყრა ხელთ მატჩის სადავეები და მეტოქეს წამოწევის საშუალებას აღარ აძლევდა. გარდამტეხი მომენტი შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე დადგა, როცა უძილაურმა და გიგაურმა ზედიზედ ჩააგდეს სამიანები. სდასუ ცხრა ქულას იგებდა და აქვე იგივე გიგაური რჩება ცარიელ ფართან, მაგრამ გასაოცარი ბურთი გააფუჭა... პასუხად კი წოწელიას სამიანი მიიღო. ისევ წოწელიას თავგამოდება და სხვაობა სამი ქულაა — 67:64. სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა. აქ კი გადამწყვეტი სიტყვა გამოცდილებას უნდა ეთქვა. ამ მხრივ ბოლო წუთებში სდასუელთა უკანახაზელები — თორთლაძე და უძილაური გამოირჩნენ, რომელთაც ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას მიჰყვეს ხელი და თსუელებიც, სხვა რომ აღარაფერი დარჩენოდათ, მათზე ჯარიმდებოდნენ.

მსაჯის სასტვენამდე 53 წამით ადრე სდასუ ოთხ ქულას იგებდა და თორთლაძესაც ორი ჯარიმა უნდა ესროლა, მაგრამ მოულოდნელად ვერც ერთი ვერ მოათავსა და მეტოქეს კვლავაც მიეცა მატჩის გადარჩენის შანსი. წოწელიამ უმალ შეუტია და უსწრაფესი გარღვევით ორი ქულა მიითვალა, ამას ერთი ჯარიმაც მიაყოლა და სხვაობა მინიმალურია 75:74. ამის შემდეგ ორჯონიკიძემ ჩააგდო ორიდან ერთი ჯარიმა და ბოლო შეტევა თსუ-ს დარჩა, მაგრამ... სდასუ-ს დაცვა შეუვალი აღმოჩნდა. ამ გუნდმა გამარჯვებათა სერია ხუთამდე გაზარდა.

**გიორგი ბიძაშვილი**

30 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
11 ტური

## ვითა 83:58 შევარდენი

I ტაიმი 34:31

ვითა: აბრამიძე (7), დავითულიანი (16), ჩუბინიძე (8), კოკოლიშვილი (16), ახალკაცი (18); ვაშაკიძე (2), ჭირაქაძე (10), ორმოცაძე (6)

შევარდენი: კაზანჯიანი, გაგნიძე (16), მაჭავარიანი (11), მოისწრაფიშვილი (6), ღვინეფაძე (8); არსიაშვილი, მესხი (6), ხობელია (9), ოქრიაშვილი (2), კერძაია

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

ამ შეხვედრას რომ „ვითა" მოიგებდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა და ასეც მოხდა. თუმცა „შევარდენმა" შეხვედრის პირველ ნახევარში შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა.

ვითელებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს. ანგარიში ზურაბ ჩუბინიძემ გახსნა. „შევარდენმა" უშედეგოდ შეუტია და ზურაბმაც მეორედ დალაშქრა მეტოქის კალათი. ამის შემდეგ „ვითამ" საკუთარი ძალები ირწმუნა და ზონურ დაცვას მიმართა, „შევარდენი" კი გააქტიურდა. მეტოქის მიერ შეთავაზებული დაცვის ასეთი ფორმა მას ხელს აძლევდა და გაგნიძის სამქულიანით ამ შეხვედრაში პირველად „შევარდენი" დაწინაურდა. ჩუბინიძემ „ვითა" უმალ წინ გაიყვანა, ორწუთიან მონაკვეთში ჩემპიონმა 6 უპასუხო ქულა მიითვალა. „შევარდენი" კვლავ გააქტიურდა. ახლა მაჭავარიანმა გამოიჩინა თავი და მე-7 წუთზე კვლავ „შევარდენია" წინ — 15:14. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მათი საქმე უკან-უკან წავიდა. „ვითამ" მეტოქეს გააზრებული, სწრაფი თამაში შესთავაზა. დავითულიანის, აბრამიძის, კოკოლიშვილის სწრაფი გარღვევები სასურველ შედეგს აღწევდა და „ვითას" გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ „შევარდენი" ექსგზის ჩემპიონს ფეხდაფეხ მისდევდა და, ტაიმის ბოლომდე მოწინააღმდეგეს ტოლი არ დაუდო. სხვაობა კვლავ შემცირდა. ჩემპიონატის უხუცესი შევარდენელი მალხაზ ღვინეფაძე მართლაც გამოირჩეოდა. იგი მწვრთნელმა თავდამსხმელად გამწესა და მისი პასებით ახალგაზრდები — გაგნიძე და მოისწრაფიშვილი ხეირობდნენ. რამდენჯერმე კი თვითონაც დალაშქრა „ვითას" კალათი. ტაიმი „ვითამ" მხოლოდ სამი ქულით მოიგო.

შეხვედრის მეორე ნახევარი სულ სხვაგვარად წარიმართა. „ვითა" გააქტიურდა, სწრაფად შეუტია და უმალ დაწინაურდა კიდეც. მატჩის 25-ე წუთზე ჩემპიონმა ათქულიან უპირატესობას მიაღწია, „შევარდენმა" კი ველარაფრით უპასუხა. კარგად ირჯებოდა „ვითას" ცენტრი ახალკაცი, რომელმაც ორჯერ მშვენივრად ჩატენა. თამაშის ტემპის გაზრდამ და კომბინაციურმა თამაშმა „შევარდენი" გატეხა. ჩემპიონმა მეორე ტაიმის შუაში 20 ქულით დაწინაურდა, ხოლო მატჩის მიწურულს კი 30 ქულითაც იგებდა. „ვითამ" მოედანზე ყველა კალათბურთელი გამოიყვანა, შეხვედრამ ინტერესი დაკარგა. ნათელი გახდა, „შევარდენი" თამაშის ასეთ ტემპს ვერ გაუძლებდა. „ვითა" მეტოქეზე აშკარად ძლიერად გამოიყურებოდა და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა.

**ზურაბ გონაშვილი**

30 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
11 ტური

## ასკ 75:81 დინამო

I ტაიმი 37:38

ასკ: ჩხაიძე (10), აკოლაშვილი (10), პაპასკირი (5), ალავიძე, ნუცუბიძე (13); ფსუტური (4), გრძელიშვილი (4), გელაშვილი (2), ნათაძე (14), უჩუმბეგაშვილი (6)

დინამო: ნიკოლაძე (2), ხოშტარია (31), ხეცურიანი (4), ვ. აბულაძე (8), კილაძე (7); წიკლაური (20), სანიკიძე (2), ნინიაშვილი (7)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

მერვე ჩემპიონატში წარუმატებელი „დებიუტის" შემდეგ (წინა ტურში არმიული კლუბი „ვითასთან" დამარცხდა), ასკ — „დინამოს" შეხვედრაშიც ფავორიტად ეს უკანასკნელი მიიჩნეოდა, თუმცა ორი ახალგაზრდული გუნდის შეტოქებას კალათბურთის ქომაგნი მაინც ინტერესით ელოდნენ, რაც იმანაც განაპირობა, რომ არმიელთა მთავარი მწვრთნელი ზაზა ცაგარეიშვილი ბოლო დრომდე სწორედ „დინამოში" მუშაობდა ლევან მოსეშვილის ასისტენტად.

ვერ ვიტყვით, შეხვედრა უინტერესო გამოდგაო, გუნდებმაც შეძლებისდაგვარად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები, მაგრამ მთავარი არ ყოფილა, აზარტი, რაც, დამეთანხმებით, უმთავრესი კომპონენტია.

მატჩი „დინამოს" შეტევებით დაიწყო და ხოშტარიამ და ხეცურიანმა წინ გაიყვანეს თავისიანები — 4:0. ამას ჩხაიძეს საპასუხო ორი ქულა მოჰყვა, მაგრამ საწყისი წუთები მაინც „დინამოსი" იყო, რაც უდავოდ ირაკლი ხოშტარიას დამსახურებაა, რომელიც ადვილად უსხლტებოდა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს და საწყისი რვა ქულიდან ექვსი სწორედ მისი იყო. მეხუთე წუთისთვის ასკ-ის ლიდერობა დავით აკოლაშვილმა იკისრა და მას შემდეგ, რაც ზედიზედ სამჯერ დააგვირგვინა შეტევა, ანგარიში გათანაბრდა - 10:10.

ამის შემდეგ გუნდები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, თუმცა მატჩს დამატებითი ინტრიგა აღარ შეუძნია და პირველ ტაიმშიც უმეტესად საყაიმო ანგარიში ციმციმებდა ტაბლოზე მაგრამ შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ისევე როგორც მატჩის დასაწყისში, „დინამომ" იძალა და თამაში ერთქულიანი უპირატესობით განაახლა.

აი, აქ კი დინამოელებმი გაყოჩაღდნენ. ჩინებულად ჩაერთო თამაშში ლევან წიკლაური და სწორედ მისი და ირაკლი ხოშტარიას მცდელობით სულ მალე „დინამო" ათი ქულით „გაექცა" მეტოქეს. არმიელები მარცხს არ ეგუებოდნენ და რამდენჯერმე მწვავედაც შეუტიეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ „დინამო", მორიგი გამარჯვებით ძალამიცემული, კვლავაც ლაღად მოქმედებდა და ჩამორჩენილებისთვის წამოწევის საშუალება აღარც მიუცია.

**დიმიტრი ნიზნიანიძე**

31 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
11 ტური

## აზოტი 79:73 მაკაბი

I ტაიმი 38:35

აზოტი: გაბისონია (8), გოგიბერიშვილი (12), ჩაჩუა, ბერუაშვილი (9), ჯაფარიძე (22); ბაბიაშვილი (16), გოგოლაძე, კოჭლამაზაშვილი, ბარამიძე (1), ჯიმშელეიშვილი (11)

მაკაბი: ი.ბერიშვილი (23), რიჟინაშვილი (2), ტალაბაძე (9), მჭედლიშვილი (2), ფერიაშვილი (22); ლასარეიშვილი (3), ფიცხელაური (2), ხუხაშვილი

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

თავიდან ეჭვს არ იწვევდა „აზოტის" გამარჯვება. ჰოდა, ერთპიროვნულ ლიდერსაც ამ შეხვედრაში თავი დიდად არ მოუკლავს, ძალების დაზოგვითაც ადვილად სძლია მეტოქეს. სწორედ ესაა მიზეზი, სატურნირო ცხრილის ბოლოში მდგომ „მაკაბისთან" ასე მცირე სხვაობით რომ მოიგო. ისე, მოდი და ნუ გაზარმაცდები (რუსთაველებზე ვამბობ), როცა მეტოქე გუნდების დაჩოქება მცირე ოფლის ღვრითაც შეგიძლია.

„აზოტი" თავიდანვე უმტკივნეულოდ დაწინაურდა. „მაკაბის" წამყვანი მოთამაშეები აკლდა და ფონს გასვლას სწრაფი იერიშებით ცდილობდა. ამაში მეტოქეც დიდად არ უშლიდა ხელს. რუსთაველები გაცუდებული შეტევებიდან საკუთარ ნახევარზე დაბრუნებას არ ჩქარობდნენ. ამის შედეგად ტაიმის მიწურულისთვის თბილისელებმა ანგარიშიც გააითანაბრეს და წინაც გაიჭრნენ (31:28). ეს იყო და ეს. „აზოტმა" ზედმეტი ფაცაფუცის გარეშე უპირატესობა კვლავაც ხელთ იგდო და შესვენებაზე სამქულიანი უპირატესობითაც გავიდა.

მეორე ტაიმის დაწყება რუსთაველთა ცენტრმა ჯაფარიძემ, ოთხი პერსონალურის დაგროვებით გვამცნო. ამის დიდად არც თვითონ დანაღვლიანებულა და არც მისი დამრიგებელი. ერთი ეს იყო, აუღელვებლად მოთამაშე ხუთეულის ლი კი მიძინებული მეტოქის გამძვინვარებას ერიდებოდა და ჩუმ-ჩუმად ჩხვლეტდა. ჩხვლეტებს კი „აზოტი" არაფრად თვლიდა და მატჩის დამთავრებას მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ლამობდა.

შეხვედრის დასასრულიც ნელ-ნელა ახლოვდებოდა და ორი წუთით ადრე რუსთაველთა გუნდმა თერთმეტქულიანი უპირატესობით საქმე მოთავებულად ჩათვალა (79:68). მაკაბელები კი ბედის დამორჩილებას არ ჩქარობდნენ, ეგებ მოწინააღმდეგის ზანტობით ვისარგებლოთო, მაგრამ მათი მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა.

**აჩიკო გელაშვილი**

30 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
11 ტური

## კოლხა 80:86 სტუ

I ტაიმი 37:46

კოლხა: ბერიშვილი (18), ბერია (3), ვ. ქვილითაია (14), კეიდია (4), უგრეხელიძე (14); ბ. ქვილითაია (4), თოდუა (2), კვაჭაძე (21), ძიძიგური

სტუ: მოისწრაფიშვილი (3), ნაცვლიშვილი (11), ლოსაბერიძე (10), მინაშვილი (12), ოთიურიძე (19); ტულუში, გაგნიძე (10), სუხიშვილი (4), ჩერქეზიშვილი (11), ცქიტიშვილი (6)

მსაჯები: როლანდ გელოვანი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

მატჩის პირველივე წუთებიდან თბილისელი სტუდენტები პრესინგს მიმართავდნენ. ასეთმა ტაქტიკამ კიდეც გაამართლა, მეტოქეთა „ბაჯბაჯა" ცენტრი უგრეხელიძეც საიმედოდ ჩაკეტეს და თითის განძრევის საშუალება არ მისცეს. პრესინგით შებოჭილი კოლხები აირ-დაირივნენ. დაბნეულთა ბრძოლის იმტაზე მოყვანას ქვილითაია-კეიდიას დუეტი ცდილობდა, თუმცა სტუ-მ ამათაც ალღო აუღო და მათი გაუვნებელყოფაც მოახერხა. ყველაფერი ეს ტაბლოზეც აისახა და ანგარიშის სხვაობაც რვა წუთის შემდეგ დიდად შესამჩნევი იყო — 21:5. ტაიმის შუაში კვაჭაძის ზუსტი სამიანებით სოხუმელთა გუნდი სათამაშო რიტმში „ჩაჯდა" და საქმე დაცვაშიც გამოუკეთდათ. ოთხწუთიანი მონაკვეთი მთლიანად მათ სასარგებლოდ წარიმართა და ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს — 23:23.

სტუ-მ წამოწევა იუკადრისა და ხუთეულში ჩერქეზიშვილი-ცქიტიშვილის გამოჩენით დაკარგული სადავეების დაბრუნება მოისურვა. ცქიტიშვილი „კოლხაში" გაიზარდა და მისი თამაშის სტილი სოხუმელთათვის ცნობილია. მას მისი კბილა კეიდია აედევნა, მაგრამ დუელი დიდხანს არ გაგრძელდა: კეიდიას პერსონალურები მრავლად ჰქონდა და მალე გავარდა.

მცირე ხნით შუქი გაითიშა. ამ დროისათვის 7 წუთი რჩებოდა და წინ სტუ იყო (30:26). შესვენებამ მცირე ხანს გასტანა და მოპაექრეები ერთურთს კვლავაც გამეტებით ეკვეთნენ.

მეორე ნახევარი სტუ-მ პრესინგითა და სწრაფი იერიშით დაიწყო. ამჯერად „კოლხა" აღარ დაბნეულა. თუმცა საგანგაშო ის იყო, რომ ჯარიმების მიღება გაახშირეს. ამაში სოხუმელებს არც დედაქალაქელები ჩამორჩნენ, მაგრამ მათ, გრძელი სათადარიგო სკამის შემხედვარეთ, ეს ნაკლებ ანაღვლებდათ. თანაც მცირე სხვაობით უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ. და მაინც, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, კერკეტ კაკლად შერაცხული კოლხები მეტოქეს ბევრ სანერვიულოს გაუჩენდნენ. ასეც მოხდა. მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე „კოლხა" გამამაცდა და ანგარიშის გათანაბრებაც შეძლო — 67:67. სტუ-ელებს აღელვება დაეტყოთ, მოთამაშეები ერთმანეთს ხშირად ვერ უგებდნენ. ამის დასტური ისიცაა, რომ კოლხი ბერიშვილი რამდენჯერმე მარტო გასცდა მეტოქის ხუთეულს და კიდეც იხეირა.

სტუ გონს მალევე მოეგო. გუნდის ჩვეულად ათამაშებას სათავე ჯერ ოთიურიძის დროულმა სამიანმა, შემდეგ კი ცქიტიშვილის ჩატენვამ დაუდო. ბოლო წუთებში „კოლხას" თავკაცმა ვითარების გამოსწორება მოიწადინა და შეგირდების დაწყნარებას შეეცადა. სოხუმელებმა პრესინგს პრესინგით უპასუხეს და სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანეს. დროც იწურებოდა და მატჩის კულმინაციური მომენტიც 15 წამით ადრე დადგა. შეტევაში კოლხები იყვნენ, რითაც გათანაბრების შანსი ეძლეოდათ, მაგრამ გამოცდილმა სტუ-მ მაინც იძალა, მეტოქე ბურთის გადმოტანისას ორჯერ დასაჯა. ჯერ ოთიურიძემ მოუტანა თავისიანებს ორი ქულა, დარჩენილ წამებში კი ცქიტომ იხტიბარგატეხილი „კოლხა" საბოლოოდ დაამწუხრა.

**მამუკა ტულუში**

# სტეფანია: კვლავ ოთხი ქულა და ადგილი ოფიციალურ განაცხადში

„სიეტლ სუპერსონიქსმა" მეორე საგამოფენო მატჩში იოლად მოუგო „ვანკუვერ გრიზლიზს" — 80:68. თუკი გავიხსენებთ აარონ ვილიამსის ფარზე თამაშს და ვლადიმერ სტეფანიას მოედანზე მოძრაობის სურვილსა და უნარს, ეს გამარჯვება კიდევ უფრო იოლად მოგვეჩვენება" — წერდა 31 იანვრის „სიეტლ თაიმზი".

სტეფანია ამჯერად ძირითად ხუთეულში არ ყოფილა. იგი შეცვლაზე შევიდა, 8 წუთი ითამაშა და 4 ქულა გააკეთა. ვოვამ თამაშიდან სამიდან ერთი ჩააგდო, ორი საჯარიმოდან კი ორივე გამოიყენა. წინა თამაშისგან განსხვავებით ფრთხილობდა და მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა.

„სიეტლმა" ექსპერიმენტს მიმართა: ხუთეულში მსროლელად ჰერსი ჰოკინსის ნაცვლად, ნომინალური ფრთა ბილი ოუენსი დააყენა. მის რიგებში ყველაზე შედეგიანი ვინ ბეიკერი იყო 16 ქულითა და 13 მოხსნით. დეტლეფ შრემპფმა და ოუენსმა 11-11 ქულა მიითვალეს, გერი პეიტონმა და ჰოკინსმა — ათ-ათი.

„სონიქსი" თავიდანვე დაწინაურდა და მეორე ტაიმში 51:31 იგებდა. მერე „ვანკუვერმა" ერთი მონაკვეთი 19:8 მოიგო, რომლის განმავლობაში დეხუან ვითმა 7 ქულა ჩააგდო. ბოლო მეოთხედში „გრიზლიზი" ორჯერ მიუახლოვდა „სიეტლის" ექვსი ქულით, ბოლოჯერ — დამთავრებამდე 6,13 წუთით ადრე, როცა ფელიპე ლოპესმა სამქულიანი ჩააგდო.

„სიეტლმა" უმალვე 8 უპასუხო ქულა გააკეთა: ჰოკინსმა სამქულიანით, პეიტონმა — ერთი საჯარიმოთი, შრემპფმა ბურთი ჩაჭრა და სტეფანია გაუშვა შეტევაში, ვოვამ კი ჩატენა. საბოლოოდ კი შრემპფმა თავად ივარგა. ანგარიში 76:62 გახდა და თამაშიც, ფაქტიურად, დამთავრდა.

„გრიზლიზში" ყველაზე მეტი, 12 ქულა კარლ ერერას ანგარიშზეა. ბრაიანტ რივზმა და ლოპესმა ცხრა-ცხრა ქულა ჩაითვალეს.

მატჩის შემდეგ „სიეტლის" მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა დაასახელა ის 12 მოთამაშე, რომელთაც ნბა-ს ოფიციალური მატჩებისთვის განაცხადში შეიყვანს. ვლადიმერ სტეფანია მათ შორისაა. „სიეტლი" კი სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს 5 თებერვალს „დალას მავერიქსის" წინააღმდეგ ითამაშებს.

REUTERS სიეტლიდან



სიეტლი — ვანკუვერი. სიეტლელმა გერი პეიტონმა (თეთრ ფორმაში) ბურთი დააკარგვინა მაიკ ბიბის

# 96-იანელებზე დიდი ნადირობაა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ნბა-ში 1996 წლის დრაფტში არჩეული მოთამაშეები ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ. 96-იანელები სამწლიანი სავალდებულო კონტრაქტის მიხედვით ბოლო წელს თამაშობენ და ამათგან უძლიერესების დატოვებას კლუბები განსაკუთრებით ეშურებიან. ამისათვის ისინი მილიონობით დოლარს არ იშურებენ. აი, ამის მაგალითებიც: „ფილადელფიამ" თავის ვარსკვლავს, 1996-97 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედას, ალენ აივერსონს, ექვსწლიანი და 71 მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. აივერსონი 1996 წლის დრაფტის პირველი ნომერი გახლდათ. იმავე დრაფტში „ვანკუვერის" მიერ მესამე ნომრად არჩეულმა შარიფ აბდურ რაჰიმმაც ძველ კლუბში არჩია დარჩენა და, აივერსონის დარად, ნაადრევად გააფორმა ანალოგიური კონტრაქტი „ვანკუვერ გრიზლიზთან". ასევე მოიქცნენ, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და მისი მოთამაშე კობი ბრაიანტი. ბრაიანტიც მასზე ორიოდე წლით უფროსი, მაგრამ ნბა-ში მასთან ერთად მოსული აივერსონისა და აბდურ-რაჰიმის დარად კონტრაქტის მიხედვით 71 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს ექვსი წლის განმავლობაში. ყველა ამათი კონტრაქტი ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით იმიტომ ჰგავს, რომ ლოკაუტის შემდგომ მკაცრად დადგენილი პირობების თანახმად, კლუბს არ შეუძლია თავისთვის შეგულებულ მოთამაშეს მეტი შეაძლიოს.

აივერსონზე და სხვებზე ნაკლები რითი ვარო და „კლივლენდის" 218-სანტიმეტრიანმა ლიტველმა ცენტრმა ჟიდრუნას ილგაუსკასმაც მათ მაგალითს მიბაძა. ეტყობა, „კლივლენდს" 23 წლის ლიტველის დიდი იმედი აქვს და ამადაც უხდის ამდენ ფულს. „კლივლენდის" ღვაწლმოსილი მწვრთნელი მაიკ ფრატელი ახალი მძლავრი გუნდის შექმნას აპირებს და მასში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა ილგაუსკასი უნდა იყოს. ლიტველმა ტერფის უმძიმესი ტრავმის გამო გამოტოვა 1996-97 წლების სეზონი და მხოლოდ შარშან ითამაშა, მაგრამ ისე, რომ ბევრი არ ელოდა. ილგაუსკასმა ჯერ ძირითადიდან ამოაგდო კიდევ ერთი ყოფილი საბჭოური ქვეყნის, უკრაინის შვილი ვიტალი პოტაპენკო, ითამაშა ახალბედების „ოლ-სტარი" და გახდა მისი უძვირფასესი მოთამაშე. დაბოლოს, იგი შეიყვანეს ახალბედების პირველ გუნდში. ლიტველის შედეგიანობა გასულ სეზონში მატჩში საშუალოდ 13,9 ქულა და 8,8 მოხსნა იყო. მან ჩატენვების დიდოსტატ შონ კემპთან ერთად საკმაოდ ძლიერი დუეტი შექმნა და მოწინააღმდეგეებს ბევრი პრობლემა გაუჩინა ფარქვეშ.

**ირაკლი ფირაშვილი**



## ევროთასი. ფინალი



REUTERS დუბლინიდან

„ოლსტერის" კაპიტანმა დევიდ ჰემფრისმა ლომივით იბრძოლა და ირლანდიას ევროთასი აჩუქა

# დუბლინმა მოილხინა

**ოლსტერი 21:6 კოლომიე**

ოლსტერი: მეისონი; კოულტერი, კუნინგჰემი (მაკდოუელი 40), ბელი, პარკი; ჰემფრისი (კაპ.), მაჩეტი; მაკუირტერი (ტოპინგი 74), უარდი, მაკინტი, ლონგუელი, ბლერი, ირვინი (ლესლი 72), კლარკი, ფითს პატრიკი.

კოლომიე: სადურნი (კაპ.); ბიბულე, როკი, სიორაკი, ლანდი (სკრელა 21); ლაბი (კარე 53), გალტიე, პეისონი (პუეიო 67), ტაბაკო, დე ჟიუსტი, ლორენზი, მორო, გრაუ, დალ მაზო, დელპუეში.

ოლსტერი: 1ა — ჰემფრისი; 6 ს — მეისონი

კოლომიე: 1 ს — ლაბი, კარე

შაბათს, 30 იანვარს, „ოლსტერმა" მთელი ირლანდიის გასახარად იოლად დაამარცხა ფრანგული „კოლომიე" და ევროთასსაც დაეუფლა. თამაში საყურებლად ვერაფერიშვილი გამოდგა, მაგრამ რაგბის დუბლინელი ქომაგებისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა — მთავარი ხომ „ოლსტერის" გამარჯვება იყო. ბელფასტელმა მორაგბეებმა ფრანგებს თავიდანვე არ მისცეს გასაქანი. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, მეტოქისთვის ხელით თამაშის საშუალება არ მიეცათ. ამან შედეგი გამოიღო — „კოლომიეს" შეტევები თითქმის ყოველთვის წამოწყებისთანავე იშლებოდა. თვითონ „ოლსტერი" კი ტაქტიკურად სწორად უტევდა და თუ ლელოს გატანა ვერც ირლანდიელებმა მოახერხეს, სამაგიეროდ, ისინი ხშირად აიძულებდნენ მეტოქეს, თამაშის წესები დაერღვია. სწორედ ამის ხარჯზე მიაღწიეს მათ წარმატებას. ირლანდიელთა დამრტყმელმა საიმონ მეისონმა ექვსჯერ შეძლო საჯარიმოდან ოვალური ბურთის ორ ძელს შორის გატარება. მეისონის მიერ მოხვეჭილ 18 ქულას გუნდის კაპიტანმა დევიდ ჰემფრისმა არენის გატანით სამიც მიამატა. ფრანგებმა კი ამის საპასუხოდ ოდენ ორი საჯარიმოს გატანა მოახერხეს და პროგნოზების მიუხედავად, წლეულს ევროთასის მფლობელიც არაფრანგული გუნდი გახდა.

თავისიანების მოგებით ალტაცებული დუბლინი კი მთელი ღამის განმავლობაში ზეიმობდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ტესტ მატჩი

**იტალია 24:49 საფრანგეთი**

იტალია: პინი; ბარონი, დალანი (მაძარიოლი 80), მარტენი, მარსელო კუტიტა (როზელი 40); დომინგესი, ტრონკონი, კაიონი, არანჩიო, ბირტიგი (სგორლონი 73), კრისტოფოლეტო, ჩეკინატო, დე კარლი (კასტელანი 12), მოსკარდი, მასიმო კუტიტა

საფრანგეთი: ნტამაკი; გარბაჟოზა, დურთი, კომბა (ჟიორდანი 45), გომესი; კასტანუდი (დელეგი 60), ლოსიუკი (მინიონი 69), ჟუიე, ბეტსანი, ბენეტონი (მარკ ლეივრემონი 40), კლედა (შაფარდონი 60), მიორენი, გალასო (კალიფანო 40), იბანესი (ბრიუ 54), კოლაზო

შაბათსვე გაიმართა ტესტ-მატჩი იტალიასა და საფრანგეთს შორის. „მამლებისთვის" ეს ბოლო რეპეტიცია იყო 6 თებერვალს ხუთი ერის პირველობაზე ირლანდიასთან შეხვედრის წინ. უნდა ითქვას, რომ მათ „სკუადრა აძურას" თამაშის საშუალებაც მისცეს და თვითონაც გემოზე იბურთავეს. ლამაზ თამაშში, რომელიც ჯენოაში გაიმართა, სტუმრებმა იმარჯვეს და შაბათსაც ირლანდიელებთან „კოლომიეს" დამარცხებისთვის რევანშის აღების სურვილით იქნებიან გამსჭვალულნი.



# ამდენი მატჩი?!

გასული უქმეები ერთი საყურადღებო მოვლენით აღინიშნა: პირველად ნჰლ-ის ისტორიაში ერთ დღეს, კერძოდ, 30 იანვარს, ერთბაშად 13 მატჩი გაიმართა, ლიგის კლუბთაგან მხოლოდ ფინიქსი ისვენებდა. გამოსარჩევია პიტსბურგის სუპერფორვარდ იარომირ იაგრის ჩინებული თამაშიც, რომელმაც კვირას მონრეალში მარტომ მოუგო მასპინძლებს, 4 (2+2) ქულა დააგროვა და 800-ქულიან ზღვარსაც გადაახტა

29 იანვარი

**ტამპა — დალასი 1:4**

მეორე პერიოდში მაიკ მოდანომ (1+1) და ბრეტ ჰალმა (1+1) სტუმრები დააწინაურეს. მცველებმა სერგეი ზუბოვმა და დერიან ჰეჩერმა კი დალასელთა უპირატესობა ორი შორეული დარტყმით გაამყარეს.

**აილენდერსი — ფინიქსი 4:4**

სლოვაკმა გიგანტმა ზდენო ჩარამ (204 სმ) ბოლო სამ წუთში ორი გოლის გატანაში დაიდო წილი, ლიგაში პირადი ანგარიშიც გახსნა და თავისიანებიც გადაარჩინა.

**ვაშინგტონი — ლოს ანჯელესი 3:6**

ხუთი გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძელთა მეკარე ოლაფ კოლციგმა შეცვლა მოითხოვა. ტრავმამოშუშებულმა ლოსანჯელესელმა რეი ფერარომ 2 გოლს 1 პასიც დაამატა, 2 შაიბაც კი მის პარტნიორ იანიკ ვეროს ანგარიშზეა.

30 იანვარი

**ფლორიდა — დალასი 2:5**

დალასელმა „ვარსკვლავებმა" პირველებმა შეძლეს ბურეთი გაძლიერებული ფლორიდის შეჩერება. მართალია, რუსმა თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მაინც გაიტანა გოლი, მაგრამ მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. სტუმარმა ტონი ჰრკაჩმა დუბლი შეასრულა, არც მოდანო და ჰალი დარჩნენ მშრალზე.

**ფილადელფია — ტამპა 6:2**

როდ ბრინდამორმა და ჯონ ლეკლერმა თავიანთი გუნდის გამარჯვებაში 2-2 შაიბით შეიტანეს წვლილი, თანაც ამ უკანასკნელმა 31 გოლით კიდევ უფრო განიმტკიცა სნაიპერთა შორის ლიდერობა. ერიკ ლინდროსმა (3 პასი) ასისტენტობა იკმარა, „მფრინავთა" მწვრთნელმა როჯერ ნეილსონმა კი 403-ე მოგება იზეიმა და ლიგის ისტორიაში მე-10 ადგილზე ალზევდა.

**კოლორადო — სან ხოსე 5:0**

ჯო საკიკის მორიგმა დუბლმა და ადამ დედმარშის 3 (1+2) ქულამ მასპინძლებს ზედიზედ მერვე გამარჯვება მოუტანა. პატრიკ რუამ (22 მოგერიება) მე-4 შათაუტი მიითვალა.

**კალგარი — სენტ ლუისი 4:3**

ჯეფ შანტცმა ოვერტაიმში გადამწყვეტი შაიბა გაიტანა.

**დეტროიტი — რეინჯერსი 3:2**

მაიკ რიხტერმა 38 დარტყმა მოიგერია, რის ხარჯზეც ჯერ კიდევ 56-ე წუთამდე ანგარიში საყაიმო იყო.

**ბუფალო — ლოს ანჯელესი 4:1**

მესამე პერიოდში, სულ 25 წამში, ბრაიან ჰოლცინგერმა და ალექსეი ჟიტნიკმა ყველაფერს ნათელი მოჰფინეს.

**ედმონტონი — ანაჰაიმი 1:0**

მიხაილ შტალენკოვმა (მე-3 შათაუტი) ყოფილი პარტნიორები გააწბილა, ერთადერთი გოლი კი ფინელმა მცველმა იანე ნიინიმამ გაიტან.

**მონრეალი — კაროლინა 1:3**

უცნაური შედეგია. სტუმრებმა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 10-ჯერ (!) დაარტყეს (კლუბის ანტირეკორდი), თანაც ბოლო მესამედში არც ერთხელ არ შეუწუხებიათ მასპინძელთა მეკარე.

**ნიუ ჯერსი — ნეშვილი 2:3**

აქაც ყველაფერი ოვერტაიმში გადაწყდა ნეშვილელი სებასტიან ბორდელოს დარტყმის შემდეგ. სტუმართა მეკარე მაიკ დანჰემმა (27 მოგერიება) ყოფილ თანაკლუბელ მარტინ ბროდოს აჯობა.

**ოტავა — აილენდერსი 9:2**

ოტავას საკლუბო რეკორდი (9 გოლი), უპირველესად, ცხადია, კაპიტან ალექსეი იაშინისა (2+1) და მისი მუდმივი პარტნიორების — შონ მაკიჩერნისა (2 გოლი) და ანდრეას დაკელის (3 პასი) დამსახურებაა.

**პიტსბურგი — ბოსტონი 5:2**

მასპინძელთა გამარჯვება მეორე სამეულის, კოვალიოვ (2+1) — ტიტოვ (1+2) — ლანგის (1 პასი), კარგმა თამაშმა განაპირობა.

**ტორონტო — ვაშინგტონი 5:3**

**ვანკუვერი — ჩიკაგო 3:2**

31 იანვარი

**მონრეალი — პიტსბურგი 3:5**

მასპინძლებს მეორე პერიოდის მიწურულს გაუჭირდათ, როცა მანამდე 3:1 დაწინაურებულთ მესამედის დამთავრებამდე 1,5 წამით ადრე იარომირ იაგრმა ერთი შაიბა გაუქვითათ. იუბილარი სუპერჩეხი (ეს მისი მე-800 გოლი გახლდათ) ვერავინ შეაჩერა, მან ორი შაიბა პარტნიორებსაც გაატანინა და თავადაც არაერთხელ იყო ახლოს ჰეთ-თრიქთან.

**ნეშვილი — ფინიქსი 1:5**

**ბოსტონი — კაროლინა 0:0**

ზედიზედ ოთხი მარცხით გამწარებულმა მასპინძლებმა კაროლინას მეორე მეკარე ტრევორ კიდს ვერაფერი მოუხერხეს (არტურ ირბე მონრეალთან მატჩში 44 დარტყმის მოგერიების შემდეგ დაასვენეს).

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმადლობთ, პიტ! ჩემპიონთა ხრიკები



**მარტინა ჰინგისი**

დაიბადა: 1980 წლის 30 სექტემბერს კოშიცეში, სლოვაკეთი.
ცხოვრობს: ტრუბახში, შვეიცარია
1,68 მ. 52,3 კგ. მემარჯვენე
ტიტულები: 20 ერთეულებში, 21 წყვილებში
მოგება-წაგება კარიერაში: 222 — 50
კარიერის საპრიზოები: 8 891 496 $




**ქალები. ფინალი: მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:2, 6:3**

*პირადი შეხვედრები აქამდე — 2:0 ჰინგისის სასარგებლოდ.*

კორტსგარეთა ინტრიგები და მეტოქეებზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედება მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს არ ესწავლება, მაგრამ მელბურნში 18 წლის შვეიცარიელმა საკუთარ თავსაც კი გადაამეტა.

19 წლის კაცივით დაკუნთულ და დაუფარავად ლესბოსელ მორესმოსთან გამოუცხადებელი ფინალი ჰინგისმა ჯერ კიდევ ხუთშაბათს, მონიკა სელეშის დამარცხების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე დაიწყო. მან გაოცებული ჟურნალისტების თვალწინ მომავალ მეტოქეს „ნახევრადკაცი" უწოდა, ეგ ხომ მელბურნში თავის გელფრენდთან ერთადაა ჩამოსულიო.

მოგვიანებით მარტინამ თავისივე ნათქვამი წარბშეუხრელად იუარა, თუმცა დაუმატა, ჩემი გამოცდილება დიდი უპირატესობაა, მორესმო კი, დარწმუნებული ვარ, ძალიან ინერვიულებსო. ყოველივე ამას ლინდსი დევენპორტის განცხადებაც დაერთო, ამელისთან თამაშის დროს ჩემი მეტოქე ზოგჯერ კაცი მეგონაო და ფრანგსაც ფინალზე ფიქრის ნაცვლად ზემოხსენებული განცხადებების კომენტირება და მოძალებული მასმედიის მოგერიება მოუხდა.

რაღა გასაკვირია, თუ მორესმომ შეხვედრა საკმაოდ აღელვებულმა დაიწყო, იგი ხომ ამასთან ერთად დიდი სლემის ტურნირის ფინალშიც პირველად ასპარეზობდა.

ნახევარფინალში ძლეული დევენპორტისგან განსხვავებით, რომელსაც ფრანგმა ძალაში არაფერი დაუთმო და სისწრაფეშიც შესამჩნევად დაჩაგრა, ჰინგისი სულ სხვაგვარ მეტოქეს წარმოადგენდა — ერთი, თუგინდ ძალიან ძლიერი დარტყმით მასთან ფონს გასვლა თითქმის შეუძლებელი გამოდგა. მარტინა კუთხეში მიმართულ ერთი შეხედვით აუღებელ ბურთებსაც იოლად უსწრებდა, ზედიზედ რამდენიმე ზუსტი დარტყმის განხორციელება კი მორესმოს არცთუ ხშირად გამოსდიოდა.

ჰინგისმა პირველი სეტი ნახევარ საათზე ნაკლებ დროში მოიგო, მეორის დასაწყისში მეტოქეს მოწოდება აართვა და თავის ბანაკს ჩვეული, თავდაჯერებული ღიმილით გახედა.

მაგრამ, შვეიცარიელის გასაკვირად, მატჩის ბედი გადაწყვეტილი სულაც არ აღმოჩნდა — სწრაფი მარცხის საშიშროების წინაშე მდგარმა მორესმომ, როგორც იქნა, რამდენიმე ხეირიან გათამაშებას მოაბა თავი, ჯერ ჰინგისს მოწოდება აართვა, მერე საკუთარი შეინარჩუნა და მეორე სეტში პირველად და უკანასკნელად დაწინაურდა — 2:1.

თანაბარი ბრძოლა მატჩის ბოლომდე გაგრძელდა, ოღონდ ეგ იყო, გადამწყვეტ მომენტებში მორესმო ზედმეტს სცოდავდა — ორჯერ მოწოდება 40:15-ით დაწინაურების შემდეგ დაკარგა, ერთხელაც სამმაგი ბრეიკპოინტი ვერ გამოიყენა.

მატჩის უკანასკნელი გეიმი ყველაზე გრძელი და თვალსასეირო იყო: მორესმომ, რომელსაც ჯერ კიდევ პირველ წრეში ერთი ბურთი აშორებდა მარცხს, რისკიანი თამაშით ამჯერად ექვსი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და მაყურებლებს მატჩის მესამე სეტში გაგრძელების იმედი გაუჩინა, თუმცა ბოლოს წინ გასულმა ზედიზედ ორი ბურთი გააზვია ბადეში და გაგრძელებული აგონიაც უსახელოდ დაასრულა.

„ფიზიკურად მის წინააღმდეგ არანაირი შანსი არ მექნებოდა, მაგრამ ჩოგბურთში ფსიქოლოგიური მზადყოფნა და გამოცდილება ზოგჯერ გაცილებით მნიშვნელოვანია. დიახ, ზოგიერთი ბურთის მისასწრებად კარგ ფორმაში უნდა იყო, მაგრამ ჩოგბურთი რთული თამაშია — იგი წამებით არ იზომება, როგორც მძლეოსნობა, ამ მხრივ მე ამჯერად უფრო ძლიერი ვიყავი" — განაცხადა მატჩის შემდეგ ჰინგისმა.

მარტინამ ომგადახდილზე უფრო თბილი სიტყვებიც გაიმეტა მეტოქისთვის, ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და სავსებით შესაძლებელი, მალე საუკეთესოთა ათეულში ვიხილოთო, მაგრამ როდესაც უსიამოვნო ინციდენტზე მიდგა საქმე, ამაზე საუბარი იუარა და აღნიშნა, მორესმოსთან საბოდიშო არაფერი მაქვსო.

მორიგი ტყუილი თუ მორიგი გაუგებრობა? ფრანგმა, რომელმაც დაჯილდოების ცერემონიალზე სხვებთან ერთად გელფრენდს, 31 წლის სილვი ბურდონს მოუხადა მადლობა, პრესკონფერენციაზე განაცხადა, მომწყინდა აურზაური, ჰინგისმაც და დევენპორტმაც ბოდიში მომიხადეს და ამაზე საუბარი აღარ მსურსო.

სამაგიეროდ, შვეიცარიელისადმი დამოკიდებულება გაცილებით დაუფარავად მორესმოს მწვრთნელმა, კრისტოფ ფურნერიმ გამოხატა: „ლინდსის ბოდიში მართლაც გულწრფელი იყო, აი, ჰინგისს კი უჯობს, სანამ პირს გააღებდეს, ცოტა დაფიქრდეს. შეიძლება ეს მისი მცირე ასაკის ბრალია, მაგრამ ჩოგბურთის სამყაროში მისი ადგილი გაცილებით დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას მოითხოვს, მსგავსი განცხადებები მიუღებელია."

**კაცები. ფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (10, რუსეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 4:6, 6:0, 6:3, 7:6 (7:1).**

*პირადი შეხვედრები აქამდე — 4:2 ენკვისტის სასარგებლოდ.*

კაცებს შორის „ნახევრად-ქალამდე" საქმე არ მისულა, მაგრამ ფინალისტებს შორის ფსიქოლოგიური ომი აქაც მატჩამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო, აქაც მომავალი გამარჯვებულის ინიციატივით.

ნახევარფინალში ტომი ჰაასის დამარცხების შემდეგ კაფელნიკოვმა, რომელიც შვედს მანამ გამარჯვების მთავარ ფავორიტად მიიჩნევდა, მოულოდნელად განაცხადა, ენკვისტს მნიშვნელოვანი მატჩების გადამწყვეტ მომენტებში ანერვიულება და შეშინება სჩვევიაო.

ფინალის დასაწყისი მსგავსს არაფერს მოასწავებდა — შვედურად სტაბილური და აუღელვებელი ენკვისტი ეისს ეისს აყოლებდა, კორტის ნებისმიერი წერტილიდან უძლიერესი დარტყმებით ითვლიდა სუფთად ქულებს, დაშინებით კი თითქოს რუსი დაშინდა, რომელმაც ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და პირველი სეტი მეტოქეს გადაულოცა.

ასე რომ, კატასტროფას შვედისთვის არაფერი მოასწავებდა. თუმც იმას, რაც შემდეგ მოხდა, სხვა სახელს ვერ დაარქმევ. რუსმა თავისი მარტივი გეგმის შესრულება — უკან რაც შეიძლება მეტი ბურთის მიბრუნება — განაგრძო, შეძლებისდაგვარად მეტოქისთვის მარცხენა მხარეს და წყობიდან ჯერ ენკვისტის ორხელა ბექჰენდი გამოვიდა, მერე კი მას მოწოდება და მთავარი იარაღი — ფორჰენდი მიჰყვა.

ის ბურთები, რომლებიც ადრე რუსს სიცოცხლეს უმწარებდნენ, ახლა ხან რამდენიმე სანტიმეტრით ცდებოდნენ უკანა თუ გვერდითა ხაზებს, ხანაც უსიცოცხლოდ ეხვეოდნენ ბადის თავში — კაფელნიკოვმა, რომელიც განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა, ზედიზედ ცხრა გეიმი მოიგო და მესამე სეტშიც 3:0 დაწინაურდა.

„არ ვიცი, ტომასს იმ დროის განმავლობაში რა მოუვიდა, შეიძლება ფსიქოლოგიურად გავტეხე. მისგან განსხვავებით მე ვიცოდი, როგორ უნდა ვყოფილიყავიკონცენტრირებული გეიმებზე, მსგავს სიტუაციაში ადრეც მოვხვედრილვარ" — აღნიშნა მოგვიანებით სოჭელმა.

მეოთხე სეტმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა — გონს მოსულმა ენკვისტმა მოწოდების შენარჩუნება მოახერხა, თუმცა ვერც მეტოქისას მოუხერხა რამე, მორიგი კრიზისი კი ტაი-ბრეიკზე ეწვია.

გადამწყვეტი გეიმი შვედმა ზედიზედ ოთხი აცილებით დაიწყო, 0:4-ზე კი ამას ორმაგი შეცდომაც მიაყოლა. მისთვის საბედნიეროდ, მხარეების შეცვლამდე ერთი რუსმაც შესცოდა და ანგარიში მთლად უიმედო არ გამხდარა — 1:5.

სწორედ აქ მეტოქეებმა ერთ-ერთი იშვიათი ლამაზი გათამაშება მოაწყვეს — ბადესთან გასულმა კაფელნიკოვმა ხელუკულმა სმეშით ენკვისტი კორტის გვერდით გაიტყუა, სასწრაფოდ უკანა ხაზზე დაბრუნებულმა ამის დარტყმულსაც მიუსწრო და თითქმის ცარიელ მოედანზე გადმოგზავნა, რის შემდეგაც ხელები მაღლა ასწია: ხუთი მატჩ-პოინტი ხომ ჩემპიონობის გარანტიას იძლეოდა.

მატჩი ენკვისტმა სიმბოლურად, გუნებაწამხდარმა დაასრულა — ორმაგი შეცდომით.

„ახლა, ფინალის წაგების შემდეგ, ვერ ვიტყვი, რომ თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ როდესაც შინ ჩავალ, მომდევნო ტურნირზე ვითამაშებ, გაცილებით თავდაჯერებული ვიქნები, რაც სეზონის წარმატებით დასრულებაში დამეხმარება" — განაცხადა ენკვისტმა, რომელსაც მანამ იანვარში გამართული 14-ივე მატჩი მოეგო.

დაჯილდოების ცერემონიალზე კაფელნიკოვმა თავისი ახალი მწვრთნელი, ამერიკელი ლარი სტეფანკი და მეუღლე მაშა მოიხსენია, გამარჯვება დეკემბერში გარდაცვლილ ბაბუას მიუძღვნა და ბოლოს ხუმრობით წლევანდელი „ოუფენის" გამცდენი მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასიც გაიხსენა: „ახლა ერთ პიროვნებას მივმართავ. პიტ, ეს შესანიშნავი გრძნობაა, გმადლობ, რომ ტურნირის მოგება დამანებე."

სოჭელი პრესკონფერენციაზე უსაზღვროდ გახარებული ჩანდა: „ამჟამად უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე 1996-ში, როლან გაროსის მოგების შემდეგ.



**ევგენი კაფელნიკოვი**

დაიბადა: 1974 წლის 18 თებერვალს სოჭში, რუსეთი.
ცხოვრობს: სოჭში
1,90მ. 79კგ, მემარჯვენე
ტიტულები: 18 ერთეულებში, 18 წყვილებში
მოგება-წაგება კარიერაში: 354 — 157
კარიერის საპრიზოები: 12 620 288 $

ყველას დავუმტკიცე, რომ ის წარმატება შემთხვევითობა არ იყო, თანაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თიხნარზე კი არა, სხვა საფარზე. ახლა პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი მოგვარებული მაქვს, მყავს შესანიშნავი ცოლ-შვილი, ძალიან ვუმადლი ლარი სტეფანკისაც. ასე მგონია, ჩინეთის დიდ კედელსაც კი იოლად გადავახტებოდი."

რუსს გამარჯვებისთვის 455 ათასი დოლარი და კლასიფიკაციის მესამე ადგილი ერგო, წარსულში ჯონ მაკინროისა და მარსელო რიოსის მწვრთნელმა სტეფანკიმ კი შვებით ამოისუნთქა: „თითქოს დამებედა, რომ ჩემი შეგირდები ავსტრალიაში ვერაფრით იმარჯვებდნენ. ევგენი კარგი ბიჭია, მაგრამ ეს მატჩი რომ წაეგო, ჩემი ხელით ჩამოვახრჩობდი."

**წყვილების ფინალი: პატრიკ რაფტერი და იონას ბიორკმანი (ავსტრალია და შვედეთი) — მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (1, ინდოეთი) 6:3, 6:4, 4:6, 6:7 (10:12), 6:4.**

**შერეული წყვილების ფინალი: დევიდ ადამსი და მარიან დე შვარდტი (სამხრეთ აფრიკა) — მაქს მირნი და სერენა უილიამსი (ბელარუსი და აშშ) 6:4, 4:6, 7:6 (7:5).**

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS მელბურნიდან

ამელი მორესმო გელფრენდ სილვი ბუდრონთან ერთად



REUTERS მელბურნიდან

ტომას ენკვისტი

მარტინა ჰინგისი — ამელი მორესმო 6:2, 6:3

| | ჰინგისი | მორესმო |
|---|---|---|
| I მოწოდების % | 69% | 46% |
| ეისები | 1 | 3 |
| ორმაგი შეცდომები | 2 | 5 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 24/36-დან—67% | 24/35-დან—69% |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 6/16-დან—30% | 12/41-დან—29% |
| სუფთად მოგებული ქულები | 19 | 31 |
| უნებლიე შეცდომები | 20 | 41 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 6/16-დან | 2/8-დან |
| ბადესთან მოგებული ქულები | 15/18-დან | 10/19-დან |
| სულ მოგებული ქულები | 70 | 58 |
| ყველაზე სწრაფი მოწოდება | 155 კმ/სთ | 181 კმ/სთ |
| დრო | 1სთ და 7 წუთი | |

ევგენი კაფელნიკოვი — ტომას ენკვისტი 4:6, 6:0, 6:3, 7:6 (7:1)

| | კაფელნიკოვი | ენკვისტი |
|---|---|---|
| I მოწოდების % | 60% | 59% |
| ეისები | 15 | 19 |
| ორმაგი შეცდომები | 8 | 6 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 58/81-დან—72% | 47/64-დან—73% |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 28/53-დან—53% | 18/44-დან—41% |
| სუფთად მოგებული ქულები | 31 | 46 |
| უნებლიე შეცდომები | 35 | 61 |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 5/10-დან | 2/5-დან |
| ბადესთან მოგებული ქულები | 18/29-დან | 14/24-დან |
| სულ მოგებული ქულები | 129 | 113 |
| ყველაზე სწრაფი მოწოდება | 197 კმ/სთ | 206კმ/სთ |
| დრო | 2სთ და 26 წთ | |

# გამორჩეული საღამო რჩეულთათვის



1998 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს გიორგი ასანიძეს პრიზით აჯილდოებს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი



კობა გოგოლაძეს ცეკვაც მშვენივრად ეხერხება, თანაც როგორი პარტნიორი ჰყავდა — თამუნა ამონაშვილი

30 იანვრის საღამოს „შერატონ მეტეხი პალასში" დღევანდელი ქართული სპორტის ნაღებს მოეყარა თავი. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, ფირმა „ვერიტამ" და სამორინე „აჭარამ" სტუმრები 1998 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების ცერემონიალზე მიიწვიეს. გემოვნებით გაწყობილ მაგიდებთან არა მარტო სპორტული საზოგადოების წარმომადგენლებს, არამედ ქართველ პოლიტიკოსებსაც მოჰკრავდით თვალს. აბა, ქართული სუფრა უსიმღეროდ როგორ ჩაივლიდა. ჰოდა, საღამოს ორგანიზატორებსაც თადარიგი წინასწარ დაეჭირათ: საღამოს გაძღოლაში ტელეჟურნალისტ თემურ ჯაფარიძეს ორ ჯუჯად ცნობილი ვახტანგ ტატიშვილი და ნუგზარ კვაშალი ეხმარებოდნენ, თამუნა ამონაშვილისა და ახლახან პროფესიონალებში გადაბარგებული მოკრივის კობა გოგოლაძის ცეკვა კი სულაც საღამოს მშვენება გახლდათ.

ახლა კი მთავარზე — ტრადიციისამებრ ქართულმა სპორტულმა მედიამ 1998 წლის ბოლოს ქვეყნის ათი საუკეთესო ათლეტი დაასახელა, გამოკითხვის შედეგად ჟურნალისტთა რჩეულნი გახდნენ — ძალოსანი გიორგი ასანიძე, მოკრივე კობა გოგოლაძე, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძე, ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით პოღოსიანი, მოკრივე გიორგი კანდელაკი, კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანია, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ხვიჩა ბიჩინაშვილი, ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი და ძიუდოისტი გიორგი რევაზიშვილი, ამათგან საღამოზე მოსვლა კანდელაკმა, სტეფანიამ და იაშვილმა ვერ შეძლეს. ისინი ამჟამად უცხოეთში იმყოფებიან და მათთვის განკუთვნილი პრიზები ოჯახის წევრებმა მიიღეს.

ზემოთ სამორინე „აჭარა" ვახსენეთ, რომელიც ამ ღონისძიების გენერალური სპონსორი გახლდათ და სამ საუკეთესო სპორტსმენს გიორგი ასანიძეს, კობა გოგოლაძესა და ელდარ კურტანიძეს 1000-1000 დოლარი უფეშქაშა.

რა თქმა უნდა, გამორჩეულად ყურადღების ცენტრში ძალოსანი გიორგი ასანიძე იყო. საჩხერელმა ათლეტმა შარშან მართლაც ჩინებულად იასპარეზა, ჯერ იყო და ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლი ირგუნა, მერე კი მსოფლიოს პირველობაზე ატაცში 168 კგ დაიმორჩილა და, მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა, ამადაც დაასახელეს სპორტულმა ჟურნალისტებმა 1998 წლის საუკეთესო სპორტსმენად. ამ წოდების დამადასტურებელი სიგელი და პრიზი გიორგი ასანაძეს ელგუჯა ბერიშვილმა გადასცა, ხოლო თბილისის საკრებულოსგან ცნობილმა მოჭადრაკემ ნანა ალექსანდრიამ მსოფლიოს რეკორდსმენს მაცივარი უსახსოვრა (სად უნდა დადგას ასანიძემ მაცივარი, საკითხავია, იგი ხომ ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ერთ პატარა ოთახშია ოჯახითურთ შეფარებული).



გიორგი ასანიძეზე მოლხენა ალალი იყო

მოდით ერთიც ვთქვათ, ათასი პრობლემით შეჭირვებული ჩვენი სპორტსმენებისთვის ასეთი ლამაზი საღამოები მათი შრომისა და მიღწევების ერთგვარი დაფასებაა, ოღონდ ეგაა, ასეთი ღონისძიების ჩატარება წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხერხდება, სასურველი კია, ამ ბიჭებს და არა მარტო მათ ყოველდღიურად მივხედოთ, სავარჯიშო პირობები შევუქმნათ და უკეთესი შედეგებიც არ დააყოვნებს. მთელი საღამოს მანძილზე სპორტსმენთა მხრიდან ჟურნალისტების მისამართით ერთი სადღეგრძელო გაისმოდა — ღმერთმა ინებოს, საერთაშორისო სარბიელზე გვემარჯვოს, თქვენ კი ჩვენი გამარჯვებებით მკითხველი გეხარებინოთო, მართლაც და ღმერთმა ინებოს!

## გმადლობთ!

საქართველოს 1998 წლის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას ვუხდით ფირმა „ვერიტას" და ბატონ ლაშა ლომიძეს, გენერალურ სპონსორს — სამორინე „აჭარას", სარეკლამო კომპანია „იმპერიალს", „შერატონ მეტეხი პალასს", საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას, სააქციო საზოგადოება „ვაზიანს", „მეგაკომს", შპს „გეორგიას", „ფალავანს", „გეომედს", მაღაზია „ბიზონ B-Q".

ელგუჯა ბერიშვილი

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი*



საუკეთესონი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა დალოცა



ქართული სპორტის ნაღები „შერატონ მეტეხი პალასში"


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29